47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

3

1930



სახელგამი

მაშველის მთავარი არხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერორგანიზაციის მონაწილეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

1.

ჯერ კიდევ იანვარში **ლენრაიონის პიონერთა** კონფერენციაზე პიონერები გამოსთქვამდენ თავის აზრს და შემოჰქონდათ წინადადება, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიგვეღო სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო თესვის კამპანიაში. ჩვენ რაიონში უკვე არის 5 დამკვრელი ბრიგადა, პიონერებისაგან შემდგარი. ბრიგადებთან ჩატარებულია სპეციალური საუბრები, შედგენილია კონკრეტული გეგმა სოფლად მუშაობისათვის. ბრიგადებს თან მიაქვთ სოფელში ლიტერატურა და რადიომიმღებნი, რომელიც გადაეცემა ქოხ-სამკითხველოებს.

2.

**„25“ კომუნარის სახელობის რაიონის** პიონერები სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო კამპანიაში მხურვალე მონაწილეობას ვიღებთ. ჯერჯერობით გაკეთებულია შემდეგი: ყველა პიონერკოლექტივში და სკოლაში მოვაწყვეთ საუბრები საგაზაფხულო თესვის კამპანიის მნიშვნელობის და მასში ბავშთა მონაწილეობის შესახებ.

პ/კოლექტივებთან შექმნილია დამკვრელი ბრიგადები. ბრიგადებმა შეფობა აიღეს აგრეთვე ბაკებზე. ბაკებში პიონერთა ბრიგადები სისტემატიურად ატარებენ საუბრებს, ხმამაღალ კითხვას კოლექტივიზაციის საკითხზე.

გვაქვს წერილობითი კავშირი სოფლის კოლექტივებთან; ჩვენ წერილებში მათ ვაძლევთ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა გაწმინდონ თესლი, როგორ გაანოყიერონ მიწა. აგრეთვე ვუპასუხებთ საინტერესო კითხვაზე.

ყველა სკოლაში და კოლექტივში შეგროვილია პლაკატები, ლოზუნგები და სათანადო ლიტერატურა სოფლად გასაგზავნად. ჩვენი რაიონის პ/კოლექტივების ერთი ნაწილი ამზადებს რადიომიმღებებს და ამ დღეებში ყველა დამზადებული აპარატი გადაეცემა ბრიგადებს სოფელში წასაღებად.

კოლექტივებთან მოწყობილია აგროპუნქტები; ასეთივე კუთხეები ეწყობა წარმოებებში, სკოლებში და საბინაო-საიჯარო ამხანაგობებთან.

3.

**ქალაქის რაიონის პიონერებმა** შემდეგი გააკეთეს: მოაწყვეს 4 დამკვრელი ბრიგადა. თითოეულ ბრიგადაში ათი პიონერია. 10 თებერვალს ბრიგადები უკვე გაემგზავრენ. ქალაქის რაიბიურომ შეიძინა ლიტერატურა, რომელიც ბრიგადამ თან წაიღო.

ლიტერატურა გროვდება კოლექტივებში. ზოგიერთ კოლექტივებთან შექმნილია **აგროკუთხეები.** პ/კ კავშირი აქვს სოფელთან.

# საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

სადღეისო ამოცანა არის 1930 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარება. როგორია ამ კამპანიაში პიონერორგანიზაციის როლი? სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში და მოსავლიანობისათვის ჩატარებულ ლაშქრობაში საქართველოს პიონერორგანიზაციას მეტად საყურადღებო მიხწევები აქვს. რაში გამოიხატა კონკრეტულად ეს მიხწევები? ამაზე გვიპასუხებს აქ მოყვანილი ფაქტები.

**1. ბაისუბნის კოლექტივმა** (კახეთის ოლქი) ამოაშრო რამდენიმე ათეული კვადრატული საჟენი ჭაობი, გახადა ის ვარგისად მოსავლიანობისათვის და მისცა ღარიბ გლეხებს.

**2. ოზურგეთის** ერთ-ერთმა პიონერკოლექტივმა შეაგროვა ცოტ-ცოტაობით ათი ფუთი ხორბალი, გადაარჩია ის და მისცა თესლად სოფლის ღარიბეს გლეხობას.

**3. ქუთაისის ათწლედმა** მოაწყო შაბათობა. მთელი სკოლა წავიდა სოფელ გელათში და იმუშავა მინდვრად სოფლის შეუკავშირებელ ბავშებთან ერთად. დღის ბოლოს მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჩაატარეს გლეხობასთან საუბარი მოსავლიანობის შესახებ.

**4. ტფილისის „26 კომუნარის“ რაიონმა** მოზრდილებთან ერთად მოაწყო და გაგზავნა სხვადასხვა სოფელში რამდენიმე პიონერული ბრიგადა. უკანასკნელებმა შეუკეთეს გლეხებს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

**5. ოზურგეთის კოლექტივმა** კოლექტიური დახმარების მიზნით დაუთოხნა მამული ობოლ პიონერებს და ორ ქვრივ გლეხქალს.

**6. გორის ოლქის** ერთ-ერთი კოლექტივის პიონერთა „მსუბუქმა კავალერიამ“ დაიჭირა რამდენიმე კულაკი, რომელთაც მიჰქონდათ ხორბალი კერძოდ გასაყიდად და ჩააბარა კოოპერატივს.

**მიშა.**

---

შ ი ნ ა ა რ ს ი:


გვ.

1. ხვალ 25 თებერვალია — **პ. ჩხიკვაძის** . . . . 1.
2. ხუთწლიანი გეგმის რუკა — **დ. თურდოსპირელის** 7.
3. რა არის ხუთწლიანი გეგმა . . . . . . . . . . 8.
4. ცხრა და თორმეტი — **შ. თ.** . . . . . . . . . . 10.
5. გივის ბრიგადა — **გ. გვასალიასი** . . . . . . 11.
6. პიონერი მურზულ — **შ. შამფრიანის** . . . . . 12.

გვ.

7. ყურადღება პიონერბრიგადების მუშაობას — **მ. კოლიუხის** . . . . . . . . . . . . . . . . 14.
8. ბაზები და კოლექტივები ეჯიბრებიან ერთმანეთს — **ბორიასი** . . . . . . . . . . . . . . . . 14.
9. ყანყი — **მ. ზალკასი** — გაგრძელება . . . . 15.
გარეკანის მეორე, მესამე და მეოთხე გვერდზე—წერილები და განცხადებანი . . . . . . . . .

329.153(05)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

15 თებერვალი
№ 3
წელიწადი მეხუთე
1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

## ხვალ 25 თებერვალია!

—

სოფლებს თეთრი ნაბადი წამოესხა. ჩამომჭკნარ ხურმის მარცვლებს ჩიჩხინაკები დაჭახჭახებდენ.

— წრიიპ!— ისმოდა ჩხართვების კვნესა და კურკანტელებში ილურსებოდენ მსუქანი შაშვები.

ისმოდა საჩიტე თოფების ყრუ გასროლა. თორმეტცამეტი წლის ყმაწვილები დარაჯობდენ სუროსა და ხურმის ხეებს.

— ჩემი თოფი ძველი ყაფალლია.

— ჩემი — ფილთა.

— ჩემი სამაგიეროდ ცენტრალკა! — აქებდენ თავიანთ იარაღს პატარა მონადირეები და ჩიტის შემოფრენას უყურებდენ.

— ე, ბიჭო, უშველებელი კულუმბური ეგერ! — წამოიძახა უცებ ვანომ და თოფმომარჯვებული მიწას გაეკრა.

ვანოს ბიძინა მიჰყვა.

ბიძინას კიდევ შოთა აედევნა და...

სამი მონადირე ეკვეთა კულუმბურს.

— ჰახ!

კულუმბური თოვლის ფიფქზე გაინართხა ცოცხალმკვდარი...

— მართლა კარგი თოფია ვანოს თოფი. რამსიშორეზე გადმოაგდო!

— ერთი შენც! ჩემი თოფი ვერ გადმოაგდებდა თუ? ამ თოფით მამაჩემს დათვი მოუკლავს, თვარა კულუმბურს ვერ მოკლავდა?!!

— ამსიშორეზე? ვერ მოკლავდა...

— მოდი, დავნაძლევდეთ.

— დავნაძლევდეთ...

— ყმაწვილებო! ამ ნაძლეობაში არ დაგავიწყდესთ, რომ დღეს პიონერრაზმის კრება იქნება! — გადასძახა მონადირეებს სასოფლო საბჭოსკენ მიმავალმა პიონერრაზმის ხელმძღვანელმა გაბომ და თავისი გზა განაგრძო.

მონადირეებმა თავი მოიქექეს...

— ბიჭებო! დღეს ხომ გაბო-ს მოხსენება იქნება 25 თებერვლის მნიშვნელობის შესახებ.

— მაშ წავიდეთ, ნულარ ვგვიანდებით...

— თოფები?

— თან წავიღოთ.

— პიონერრაზმში თოფებით მისვლა როგორ იქნება?

— აბა, შინისაკენ მოვუსვათ ყველამ და მერე მოვგროვდეთ სკოლის ეზოში.

— ვანო! ვანო! შეხედე, რამხელა ჩიჩხიწაკი შემოჯდა ნიგოზზე...

— ერთი შენც! რა დროს ჩიჩხინაკია... რომ დაგვაგვიანდეს, საყვედურს გამოგვიცხადებენ...

— კარგი და გაბოს რომ არ გამოევლო?

— გაბოს?.. გაბოს რომ არ გამოევლო, მე არ ვიცოდი, რომ დღეს კრება იყო თუ?..

— კი ვიცოდით, მარა არ გვახსოვდა...

— არაფერიც არა... ძალიან კარგად მახსოვდა... — არ იშლიდა თავისას ვანო და ცალი თვალით ნიგვზის წვერზე გადმომჯდარ ჩიჩხინაკს უყურებდა...

— წავიდეთ შინ...

— წავიდეთ... დაუდასტურეს ერთმანეთს მონადირეებმა და თოვლისგან ხელებგათოშილნი უკვალავ თოვლში ჩაიფუმფლენ...

—

სკოლის მოზრდილი დარბაზი სავსეა პიონერებით...

მხიარული სიცილ-ხარხარი ასკდება კედლებს. აივანზე დოლი გაუჩაღებიათ.

ერთი ჯგუფი „ერთობის დროშა გაიშალა“-ს აგუგუნებს.

ხუთი თუ ექვსი პიონერი სასკოლო მაგიდას შემოხვევია და ერთმანეთს აჩქარებენ.

სადღესასწაულო პლაკატები იწერება...

— მზად არის!

— მოვრჩით!

— აბა, შრეში მოიტა, ვანო!

— შრეში სად ვიშოვო?

— ხარაზებს ექნება, გამოართვი.

— ლურსმნით რომ მივაჭედოთ?

— სად არის ლურსმანი?

— მოვიტან შინიდან...

კარებში გამოჩნდა ხელმძღვანელი გაბო. ის მხიარულ გუნებაზეა, როგორც ყოველთვის.

პიონერები წყნარდებიან.

— დასხედით, მეგობრებო! — მიმართავს გაბო პიონერ-აზმელებს და სათითაოდ გადახედავს ყველას დარბაზში.

გაბოც ჯდება...

ჯიბიდან რვეულს იღებს...

— მეგობრებო! — დაარღვია სიჩუმე ისევ გაბომ და რვეული გადაშალა — დღეს მინდა გესაუბროთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.



დამკვრელი ბრიგადა სტალინის სახელობის ქარხანაში

როგორც იცით, ხვალ სრულდება ცხრა წელი მას შემდეგ, რაც ჩვენში მუშებისა და გლეხების ხელისუფლება არსებობს. როგორც პიონერმოძრაობის ისტორიიდან იცით, საბჭოთა ხელისუფლების დაარსებამდე არ ვითარი ორგანიზაცია არ არსებობდა ჩვენში მოზარდი თაობის სკოლისგარეთ აღზრდისა და მუშათა თუ მოზარდთა მოძრაობის შესწავლისათვის.

მაშინდელ მოზარდ თაობას, მათ შორის მეც, ახალგაზრდობის დასარაზმავად და რევოლუციონური ბრძოლის საწარმოებლად მუშაობა გვიხდებოდა არალეგალურად, ზოგჯერ მშობლების ნებართვის წინააღმდეგაც.

დღეს თუ თქვენ თავისუფლად შედიხართ პიონერრაზმებში, გეხმარებიან ყოველმხრივ გათვითცნობიერებასა და განვითარებაში, ამ ცხრა წლის წინად თქვენს ასაკში მყოფი მოზარდები შიშველ-ტიტველნი და ზოგჯერ მშიერები ათეულ კილომეტრს გაივლიდენ უმთვარიო ღამეში, არალეგალური კრების ჩასატარებლად.

ასეთი იყო მაშინ მოზარდთა მდგომარეობა.

გაბომ გადაშალა თავისი რვეული და მოგონების სახით ჩაწერილი ამბავი წაუკითხა პიონერრაზმელებს.

*
* *

თებერვალი იყო. გურია ფეხზე იდგა ომის საშიშროებით.

დღე ღამეს აცილებდა და ყოველ დღედალამეს კი— ახალ-ახალი მობილიზაცია. ჯარში იწვევდენ „სამშობლოს“ დასაცავად. იწვევდენ ოცდაათწლიან ასაკამდე.

შემდეგ ოცმოცწლიანებს...

ცოტა მოგვიანებით სამოცწლიანებსაც.

ბოლოს კი (ეს მოხდა სულ ერთი თვის განმავლობაში):

— გამოდით ქუდზე კაცი!—მოუწოდებდა გურულ გლეხობას საქართველოს სურებელი მინისტრი, და ხალხში გუბდებოდა უკმაყოფილება.

მესვეურები ისხდენ სოფლებში და ილანძღებოდენ, ილანძღებოდენ ბოლშევიკების მისამართით.

ჭორიკანობდენ...

წინასწარმეტყველებდენ, რომ:

აი, შემოვლენ ბოლშევიკები თუ არა, მოისპობა ქართველი ხალხი, მოისპობა ქართული კულტურა, ენა, სირცხვილ-ნამუსი...

აი, ასე ქადაგად დავარდნილი ერობის ხალხი, კომიტეტების ხელმძღვანელები თუ გვარდიის შტაბის წევრები, თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი, შიშის ზარს სცემდენ მამაკაცებიდან გაცლილ ოჯახებს და, ვითომ დეზერტირების ძებნაში, სოფლებს იკლებდენ საშიშარი თავდასხმებით.

კომკავშირის კომიტეტში ვმუშაობდი მაშინ,— განაგრძობს გაბო და რვეულს ფურცლავს,—კომიტეტის წევრები ნახევარზე მეტი დაპატიმრებული იყვნენ მენშევიკების მიერ და მთელი მუშაობის სიმძიმე სულ რამდენიმე კაცს დაგვაწვა თავზე. პარტიული კომიტეტის დავალების მიხედვით, ოზურგეთში უნდა წაგვეღო ცნობები რაიონის მუშაობის შესახებ..

გზები დღედალამ გაკრული იყო დარაჯებით. ქაღალდების წაღება ძნელი იყო და საშიშიც. საქმე კი დაყოვნებას არ ითმენდა.

ფრონტი სურამზე გადმოსულიყო...

სოფლებში კი...

არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკები ადგენდენ გეგმას ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის...

კომიტეტის სხდომის ოქმები და უკანასკნელი ცნობები რაიონული მუშაობის შესახებ სწორედ ახლა უნდა გადაგზავნილიყო ოზურგეთში.

სამი კომკავშირელი დავრჩით შეუმჩნეველი... შეუმჩნეველი და, მაშასადამე, დაუტუსაღებელი.

წილი ვყარეთ.

ოზურგეთში წასვლა მე მარგო ბილეთმა...

გამეხარდა...

თუმცა შემეშინდა კიდეც..

დღის სამი საათი იქნებოდა, რომ გზას გავუდექი... მაშინ გიმნაზიელი ვიყავი და ბინა ახლო მქონდა გიმნაზიასთან...

შინ არავისთვის არაფერი მიცნობებია...

ამოვიკარი ბარძაყებში ქაღალდები და ქალამნებით მოვუსვი ოზურგეთისკენ.

თოვს...

ხანდახან ქარიც წამოუბერავს...

გამიგრძელდა გზა ნაგომრის ჭალებში.

მივდივარ... მაგრამ...

უკვე მოვიქანცე...

მომშივდა კიდეც...

შევუდექი ნასაკირალის მოზრდილ აღმართს...

ნისლით შებურვილა არე-მიდამო.

ვატყობ, ღამდება...

ღამდება და, რაც ძალი და ღონე მაქვს, ვუჩქარებ ნაბიჯებს...

თოვლი მუხლებზე მეკეცება, მაგრამ მეშინია შემოღამების და ვიკრებ უკანასკნელ ენერგიას..

ნასაკირალი გადავიარე.

ჩაის პლანტაციებთან ეტლი შემომხვდა.

ვხედავ: გვარდიის შტაბის თავმჯდომარე და ვილაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო მიემგზავრება ჩოხატაურისკენ.

კოფოზე ორი გვარდიელი ყარაბინით ხელში გაშეშებულა...

დამაკვირდენ.

მე თავჩაღუნული მივაკვლევ გზას და გახარებული, რომ აქიდან გზა გაკვალული მექნება, ნაბიჯებს ვუმატებ.

— ვისი ხარ, ბიჭო?—შემომძახა ერთმა გვარდიელმა.

— მე... ოზურგელი ვარ...

— აქით რა გინდოდა მერე, შე ლაწირაკო!

შტაბის თავმჯდომარემ ბრძანა ეტლი გაეჩერებინათ.

— გაჩხრიკეო!

— ვისთან იყავი, ბიჭო, აქით?

— ბიძიასთან ვიყავი,—ვიცრუე და სახე მოვარიდე ნაცნობ გვარდიელს, რომელიც რატომღაც ველარ მცნობდა

— ასწიე ხელი!

მე ავწიე ხელები და შიშის ზარმა დაკრა თავში: ვაი თუ მიპოვონ მეთქი.

გამჩხრიკეს...

ვერაფერი ნახეს.

განთავისუფლებულმა ისე მოვკურცხლე ჩასაკირლის თავდაღმართში, რომ... რა ვიცი, რომ იტყვიან, ტყვიაც კი ვერ მომეწეოდა...

დაღამდა...

ჯერ კიდევ დვაბზუს არ გავშ-რებოდი, რომ უკვე ღამე იყო. მაგრამ თოვლის სინათლე გზას მინათებდა და მეც დასველებული და ქანცმიხდილი მივდევდი დათოვლილ გზას გაქანებული...

ოზურგეთში წინადაც მიმგზავრია სწორედ ასეთივე ხასიათის დავალებით და ახლა რომ ვაკვირდები გზის სიგრძეს, ვატყობ, რომ სამი კილომეტრი კიდევ დამრჩენია გასავლელი. მუხლები კი საცოდავად მილასლასებენ. ქშენა ამივარდა. შიმშილი წყურვილად შემეცვალა და დავიწყე თოვლის პირში დნობა. ყელი საშინლად ამეწვა...

ჩავჯექი თოვლში...

მეტი აღარ შემიძლია.

ხომ სიცივეა და ღამე ყიამეთი, მაგრამ აქ, გზაშიაც, თავისუფლად დამეძინება.

რა ძნელია დაღლილობა!

თითქმის პირველად ვიგრძენი ჩემი ცხოვრების მოკლე მანძილზე ასეთი მოქანცვა. თავს ძალა დავატანე ..

წამოვდექი...

წამოვდექი, მაგრამ ოდნავ შესვენებულივით კუნთები აღარ მემორჩილება...

მუხლები მოკვეთილი მაქვს მძიმე დაჭრილივით. შემეშინდა...

შიშმა ცოტათი გამომაფხიზლა და, როგორც იქნა, გადავდგი ნაბიჯი.

ცოტაც, და ისევ დავიძინებდი.

მთვრალივით დავბარბაცდი.

ვატყობ: თვალებმაც მიმტყუნა და უკვე ველარას ვარჩევ, თუ სად მივდივარ.

თოვა მატულობს.

საცაა გზებიც გადასწორდება...

მინდა დავიყვირო, მაგრამ მრცხვენია, მეშინია კიდეც.

თავიდან ფეხამდე სველი ვარ.

ვშიშობ: ქაღალდებიც არ დალბეს მეთქი.

აგერ...

პატარა ქოხიდან ცეცხლის ჭიატი,



მძლავრი სატყეო კომბინატის შენება აფხაზეთში.
პირველი მოწაფე — აფხაზი სამონტაჟო საამქროში

შევჩერდი: მოდი ჩავალ და ღამეს გავათევ. რომ იაზრონ? რა უნდა იაზრონ? არა, უნდა ჩავიდე...

— მაინძელო! ეი, მაინძელო!

ღობეს ეზოს ძაღლი მოასკდა ღრენით...

— ვინ ხარ?

— მგზავრი ვარ,—დავიკნავლე.

— ჩამოდი, ბიძი, ეზოში,—მომესმა ხავერდივით რბილი ხმა.

გულზე ცოტათი მომეშვა. გავმხნევდი.

უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და მასპინძელს ჩავყევი ეზოში.

თოვლი დავიბერტყე.

მასპინძლის ჩემსავით ახალგაზრდა ქალმა ცოცხი გამოიტანა ქოხის წინ და ტანზე შეყინული თოვლი მომაშორა...

შემიძღვენ სახლში.

სველი ყაბალახი ოჯინჯალეზე ჩამოვკიდე გასაშრობად.

ფეხი გავიხადე და სითბოს დანატრებული შუაცეცხლს ავეფიცხე.

— სადაური ხარ, ბიძი?

— ბუკისციხელი.

— სად მიხვალ მერე?

— ოზურგეთს ბიძა მყავს და გზაში დამაღამდა.

— კი, მარა, ამფერ ყიამეთში ვინ გამოგიმეტა გამოსაგზანად ამსიშორე გზაზე?

— სიმინდი არ გვქონდა შინ და აბა რა უნდა გვექნა?—ვიცრუე მე.

— კი, მარა შენზე უფროსი არავინ არის თქვენს ოჯახში?

-- არიან, მარა ომში გაიწვიეს..

— ჰაი გადი! რა გაგვიხდა აი ომი!

ჩემმა მასპინძელმა მძიმედ ამოიოხრა.

— ვაი შენს დედას, შვილო!—ჩაილაპარაკა ცეცხლის პირას დიასახლისმა და თვალის უპეები ცრემლებით აევსო.

-- მარინე! აი ახალგაზრდა მშიერი იქნება და აბა, თუ რამე გაქვს, გამოუტანე... ცქვიტა თვალის სიფართე კვერი ჩააგდე ლადარში და ივახშმებს... ნამგზავრია და გალახული იქნება...

ვახშმის ხსენებაზე შიმშილი გამიახლდა... საჩქაროდ გამოაწყვეს დაბალი სუფრა და მახსოვს, როგორ მორცხვად ვილუკმებოდი ჩემთვის უჩვეულო მადაზე მოსული.

***

მეორე დღეს უთენია გამომეღვიძა. დიასახლისი უკვე ამდგარიყო და საქონელს აპურებდა...

გარეთ აღარ თოვდა.

ამინდი სადაროდ გამოიყურებოდა...

ტანთ ჩავიცვი თუ არა, წასვლა დავაპირე პირდაუბანელმა.

მასპინძელმა იწყინა ჩემი ასეთი ყოფაქცევა და შემომიტია:

— გაგიგონია, ბიჭიკო, ოჯახიდან დილით უჭმელი გადარება? რავა გეკადრება მაგი? რაცხა სილარიბის გვაქ, ვისაუზმოთ აგერ და მერე გასწი შენს გზაზე.

მე მორცხვად ვიჯექი ცეცხლისპირას თავჩაღუნული და შემდეგი მოგზაურობის გეგმას ვადგენდი.

— ბიძი, თქვენს სოფელში დაჭერილი არის ვინმე? უსაზღვრო, მაგრამ მალული ცნობისმოყვარეობით მკითხა მასპინძელმა საუზმის დროს.

— კი, დაიჭირეს ვინცხა-ვინცხეები, მარა...

— რა ხალხია, ბიძიკო, იგი დაჭირულები, ხომ არ იცი?

— ბალშევიკებს უძახიენ და რა ვიცი,—განგებ გავლუნე სიტყვა.

— ჰაი—გიდი, სამართალო!

ჩემი მასპინძელი ჩაფიქრდა. მწარე ამოოხვრაზე აშკარად ეტყობოდა, რომ ის რაღაც გულნატკენი იყო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— უკაცრავად!--დავარღვიე სიჩუმე და თავი მაღლა ავწიე ადესა ღვინით ცოტათი წათამამებულმა—თქვენი პატივისცემა აუნაზღაურებელია და მაინც ვიცოდე, ვინ არის ჩემი მასპინძელი...



ხაშურში შენდება ახალი სახლები რკინისგზელ მუშათათვის

მასპინძელმა კიდევ ამოიოხრა.

— რად გინდა, ბიძიკო, ვინცა ვარ, ჩემი ცხოვრება წვალებაა, მეტი არაფერი. მე ერქომაიშვილი ვარ, თეოფილეა ჩემი სახელი. ეეხ! ჩემი ერთად-ერთი ვაჟიშვილი...

თეოფილემ აქ სიტყვა გაწყვიტა, ჭაღარა წვერებზე ხელი ჩამოისვა და დაქექილი ბუშლატის სახელოთი ცრემლიანი თვალები ამოიწმინდა.

— ჩემი მოსწრებული ვაჟკაცი! ვაი, შენს დედასა, შვილო...

ტანში ჟრუანტელმა დამირბინა. უხერხულობა ვიგრძენი.

— რა მოუვიდა?—როგორც იქნა გავბედე მე.

— ციხეში... ციხეში მომიკლეს, შვილო, ამ ძაღლთაპირებმა... ამ უსინდისოებმა...

მე სამძიმრის ნიშნად თავი ჩავღუნე ..

— იგი იყო მთელი ჩემი ოჯახის იმედი და ამ ყაჩაღებმა, ამ ჯალათებმა როგორ ჩამიმწარეს სიბერის დღეი...

თეოფილემ თავისი აღელვება გულში ჩაიკლა და გულის გადასაყოლებლად მუგუზალს შეუჩუჩხურა.

მე ვერაფრის თქმა ველარ გავბედე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი თეოფილეს გულწრფელობასა და უსაზღვრო მწუხარებაში.

ციხეში დალუპულის სურათიც მიჩვენეს. მკრთალი სახის გამოიყურებოდა ის ამხანაგებს შორის... ალბათ საერთოდ სუსტი აგებულობის თუ იყო.

— ე—ე--ხ! ბრძოლაა, ჩემო ბიძია, აი ცხოვრება და ამ ბრძოლაში, ვინ იცის, ვინ სად ჩაკვდება...

თეოფილემ მძიმე ამოოხვრას ამოაყოლა გულის ვარამი.

დიასახლისი კი ისევ თვალცრემლიანი და გულამოსკვნილი, მკერდს იფოფრავდა თავისი ვაჟიშვილის სურათის შემყურე...

— შავებიც ველარ ვიშოვნე, რომ გული შემეჯერებია... ვაი, შენს დედას, შვილო!

ამის შემდეგ ჩვენ ჩქარა მოვრჩით დილის საუზმეს და, საკმაოდ დანაყრებული, ჩქარის ნაბიჯით გავუდექი ოზურგეთის შარას.

***

დილის ათ საათზე უკვე დანიშნულ ადგილას ვიყავი...

თოვლით დაბურული ნაცნობი სოფლები ცოტა მეუცხოვა...

ეზოებს გულდასმით ვათვალიერებდი. ოზურგეთის მახლობლად ცხოვრობდა, ვისთანაც ქაღალდები უნდა მიმეტანა. მომაგონდა, რომ სერგოს ეზოში ჭანდარი იდგა და სახლზე ასასვლელი კიბეები ბეტონის იყო...

შეღებილ ჭიშკარს გავშორდი...

ჭანდარს დავაკვირდი...

ნაცნობი ეზო გამოდგა.

ეზოში ბავშები თოვლში ბურთაობდენ...

ბავშებს მივუახლოვდი... გამოველაპარაკე. ბავშები ცნობისმოყვარეობით შემომეხვიენ აქეთ-იქიდან...

ზოგიერთებმა ფრთხილად თოვლის გუნდაც მესროლეს... მე გამეღიმა ბავშების ცელქობაზე...

სერგო მოვიკითხე...

— არ ვიცი...

— არ არის შინ...

— სხოკან არის წასული...

— აფერი არა, ბაბ...

— წადი იქით, შენ რა იცი, ყაზირალო?-აირია ხმები ერთმანეთში.

მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ბავშებას ასეთი დაბნეული პასუხი.

— მე კი გიცნობ შენ,—ჩამილაპარაკა ჩემს გვერდით მდგომმა ათი წლის ბიჭმა, რომელიც სერგოს უფროსი ვაჟი კარლო გამოდგა...

— შენ ქე არ იყავი ერჯერ ჩვენსას?—მომაგონა ბავშმა და მორცხვად გაიღიმა.

— მამაი შინ არის, მარა... მეიცა აქანაი და...— კარლო სახლისკენ გაექანა...

მე თოვლში ჩავჯექი და კარლოს დაველოდე.

ჩქარა კარლოც დაბრუნდა გახარებული. მან ცქვიტად მოირბინა ჩემთან, ხელი მომკიდა და სახლისკენ წამიძღვა.

უკანა ოთახში დამიხვდა სერგო. ის რაღაც წიგნებში იყო გართული. პატარა სასადილო მაგიდაზე „ერთობის“ უკანასკნელი ნომერი იდვა...

ოთახის კარი ეზოში გადიოდა...

პატარა ფანჯარა ძლივს ავსებდა ოთახს სინათლით.

სერგოს მივესალმე.

მან დიდის ალტაცებით მიმიღო და საჩქაროდ სოფლის ამბები გამომკითხა.

აქეთ-იქით მოვიხედე.

ქალთაგანი არავინ იყო.

მე პირი მოვიბრუნე, შარვალი ჩავიწიე და ბარძაყებზე შემოკრული ქაღალდები შემოვიხსენი.

სერგოს თან ჩემი მოხერხებული მოგზაურობა ეცინებოდა და თანაც ახალ-ახალ შეკითხვებს სეტყვასავით მაყრიდა.

ქაღალდებში ყველაფერი ეწერა...

კარლომ ცეცხლი გააჩაღა. საუბარში გართული ვიჯექი ბუხართან და ცეცხლის გუგუნს სმენას ვაყოლებდით..

მოგვიანებით სერგოს ცოლი დაბრუნდა ქალაქიდან. გაზეთები მოიტანა...

გაჯავრებული იყო, ეტყობოდა.

ჩემს დანახვაზე ოდნავ გაიღიმა და ხელი ჩამომართვა.

— რა არის ახალი, ვარდო?

ვარდო შეიჭმუხნა... კითხვაზე არაფერი უპასუხა.

— რა არის ახალი?...

— ჩვენებს ბათუმში აგზავნიან. . განკარგულება გაცემულია

— ფრონტი?

— ფრონტი საჯევახოს ხიდზეა...

— საჯევახოს?

— ასეთი ცნობაა ოფიციალურად, ისე როგორც ამბობენ, ზეგ შემოვლენ მგონი ოზურგეთში.

— ვარდო!--წამოიჭრა სერგო ზეზე და სიხარულით ციბრუტივით შემოტრიალდა.

-- სასიხარულო აქ ბევრი არაფერია. ჩვენებს რომ რაიმე მოუვიდესთ?

— ვერაფერს გაბედავენ... თუმცა...

სერგო. მოიღრუბლა...

— რომ რამე ეშველებოდეს... ვარდო, შევგზავნოთ წერილი როგორმე ციხეში...

— მერე?

— თუმცა წერილით რას გავხდებით...

-- რომ მოგვისწრებდეს ჯარი, სანამ ციხიდან გამოიყვანდენ...

მე შიშით თმები ყალყზე დამიდგა... ჯარის ხსენებამ და ციხის ამბავმა შემაფიქრიანა...

— პასუხს დამიწერთ?—ჩავერიე მეც საუბარში.

— ამ წუთში, ჩემი გაბო... ახლავე დავწერ...



მუშათა ახალი თეატრი ტფილისში

სერგო მაგიდას მოუჯდა. წერილი გაამზადა და ის იყო ჩემზე გადმოცემას აპირებდა, რომ მოისმა ზარბაზნის უეცარი გრიალი.

— ვაშა! ჩვენებია!..—წამოიძახა უცბად ვარდომ და აივანზე გავიდა...

— გრ-გრ-რ-რ-რ, აგრიალდა ერთხმად ზარბაზნები ისე ახლოს, რომ გეგონებოდათ, აგერ რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე ისვრიანო...

— ბათუმიდან უნდა იყოს...—შემოილაპარაკა ოთახში დაბრუნებულმა ვარდომ,—შეიძლება ველარ მოასწრონ ჩვენების გადაგზავნა.

— რომ აქ დავხრიტონ?..

— ეეხ! ერთი შენც! ვერ დახვრეტენ...

ნერვიული მდგომაოეობა შეიქნა.

სერგომ წერილი გადმომცა, მაგრამ...

ახლა მარტოდ უკან დაბრუნებაზე გული შემიფიქრიანდა...

— გაბო! წაიღე ეს წერილი და იცოდე, რომ ეს ჩვენი გამარჯვების პირველი სიგნალია... ხომ არ შეგეშინდება?

მე შევყოყმანდი, მაგრამ დასტურის მიცემა ვისირცხვილე და თამამად ვუპასუხე:

— რის უნდა შემეშინდეს!

წერილი, როგორც საჭირო იყო, ისე გავიკეთე შეჩვეულ ადგილას და ფიქრებით დაბრუებულმა პასუხი უკან წამოვიღე.

ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, ერთი თავქუდმოგლეჯილი გაოფლიანებული კაცი შემომხვდა.

— სერგო შინ არის?—მკითხა მან სულშეგუბებულმა. მე ვერაფერი ვუპასუხე...

— თქვენ ვინ ხართ?—მოვახერხე ბოლოს, როგორც იყო...—სერგო რათ გინდათ?

— ჩვენები შემოდიან და შეხვედრა უნდა...

ამის გამგონე სერგო გაფითრებული გამოვარდა სახლიდან და მომაძახა:

— მოიტა წერილი უკან! იქ რაც ეწერა, საჭირო აღარ არის... გაფრინდი ახლავე და გადაეცი ჩოხატაურს, რომ... საქართველო გადატრიალდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა




ხონსა და სამტრედიას შორის მდებარე გვალვიანი ადგილები

მე სიხარულით მაღლა-მაღლა ავბორიალდი...

აგერ, კიდევ მოირბინა ვიღაცამ სერგოსთან...

— მერიაში არიან .. საცაა შემოვლენ... შეხვედრა უნდა... წავიდეთ ჩქარა...

მე თავდავიწყებით მოვკურცხლე შინისაკენ და როცა მოსახვევში უკან მოვიხედე, სერგო და მასთან მოსული კაცები უკვე აღარ ჩანდენ სოფლის შარაზე...

4

მე რომ ოზურგეთში გავემგზავრე, იმ საღამოს ჩოხატაურის ბინაზე მამა მსტუმრებოდა.

ვეკითხე...

იქ ეთქვათ: სადღაც კი წავიდა, მაგრამ ჩვენთვის არაფერი დაუბარებიაო.

მამაჩემს შეშინებოდა.

მან რა იცოდა, თუ მე არალეგალური მომუშავე ვიყავი და მისი მსოფლმხედველობის სასტიკი მოწინააღმდეგე.

ამდგარიყო და მიეცა მილიციაში განცხადება ჩემი დაკარგვის შესახებ. ნიშნებიც ჩამოეწერა, ტანჩაცმულობაც დაახლოვებით. მოვდივარ ოზურგეთიდან სასიხარულო ამბებით დატვირთული და ვნ ხოთ, ნაგომარში მილიციელმა შემაჩერა...

რაღაც ქაღალდში დაიწყო ყურება და შემდეგ რამდენჯერმე თავით ფეხამდე დამათვალიერა...

— ამას არა გავს, კაცო, ეგ ნიშნები? — ჩაულაპარაკა მილიციელს მის გვერდით მდგომმა ახალგაზრდამ და ცბიერად გაიღიმა.

უეცრად ვერაფერი მოვისაზრე...

— წადი, ბიძია, ვინცხა ხარ, — ჩაიქნია ხელი მილიციელმა ისე, რომ ვინაობა არც კი უკითხავს...

მე გაკვირვებულმა განვაგრძე გზა...

— მოიცა, მოიცა, ბიჭო, — მობრუნდა ისევ მილიციელი — საიდან მოხვალ?

— ოზურგეთიდან, — ვუპასუხე მე.

— რა ამბავია ოზურგეთში?

— რა ვიცი რა ამბავია?

— ბოლშევიკები ხომ არ შემოსულან?

— არა, მარა...

— რაიო?

— შემოდიანო, ამბობდენ...

მილიციელი და იქ მდგომი გლეხები კითხვის ნიშანს დაემსგავსენ...

— კარგა თქვი, ბიძია, ვერ გევიგონე, — მოიქექა ყური ერთმა ხანში შესულმა და ნაბიჯი ჩემსკენ გადმოდგა...

— რა ვიცი, ბაზარში ლაპარაკობდენ, ბოლშევიკები მერიაში არიანო...

— მერიაში?

— ხო, მერიაშიო და რა ვიცი...

მილიციელმა და გლეხებმა ერთმანეთს რაღაც წასჩურჩულეს...

— ტელეფონზე გიძახიენ, კირილე, — მოაძახა ვიღაცამ მილიციელს, და მე მოვუსვი ჩოხატაურისკენ...

ჯერ კიდევ კარგად არ დაღამებულიყო, როცა ჩოხატაურში შევედი.

ჩვენებს მივაკითხე...

ბინაზე არავინ დამიხვდა...

თურმე შორიახლო ამათაც გაეგოთ ბოლშევიკების შემოსვლის მოახლოვება და ერთმანეთს ნახულობდენ სათათბიროდ...

ჩემი დაბრუნება რომ შეიტყვეს, ყველანი გარშემო შემომეხვიენ და შეიქნა თავშეუკავებელი კითხვა-პასუხები.

— მერიაში იყვნენ მოსული, — განვაცხადე მე.

— მერიაში? აბა ოზურგეთი აღებული იქნება ახლა.

— ხვალ აქაც შემოვლენ...

— სანამ შემოვიდოდენ, ჩვენ არაფერი უნდა ვიმოქმედოთ? სერგომ? რა დაგაბარა?

— სერგომ? გადაეცი ამხანაგებს, რომ საქართველო გადატრიალდაო და იმოქმედეთო, — დავუმატე ჩემის მხრით...

— იმოქმედეთო?..

— აბა, მუშაობაა, ბიჭებო, საჭირო!

— ყველანი აქა ვართ ეგ პარტიულები, კომკავშირლებიც აქ არიან. სანამ ამხანაგები ციხეებიდან დაბრუდებოდენ, საჭიროა საქმიანობას შევუდგეთ...

— შევუდგეთ!

— შევუდგეთ! — აგუგუნდა გაბედული ხმები...



საბჭოთა მეურნეობა „კულარ“. გუთნის შეკეთება

არალეგალობას ბოლო ელებოდა...
იმსხვრეოდა ფარულად მუშაობის სიძნელეები...
წყდებოდა მალულ კრებათა არტახები...

— ამხანაგებო!

— მოითმინეთ, ამხანაგებო, რაღაც ხმაურობა მომესმა! – სთქვა ჩემმა ამხანაგმა კომკავშირელმა სიმონამ და კარი გაალო.

ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: კარებში გამოჩნდა ჩვენი მოწინავე ამხანაგი, ბათომის ციხეში დამწყვდეული იასონ ცინცაძე.

— იასონ!

— იასონ!—შევძახეთ აქეთ-იქიდან...

— როგორ!

— საიდან!

— როგორ მოახერხე?

— დამაცადეთ, ამხანაგებო! იმდენი ვირბინე, რომ ლაპარაკიც აღარ შემიძლია. გუშინ გამოვიპარე ბათომიდან და დღეს, როგორც ხედავთ, თქვენთან ვარ...

— იასონ!

— იასონ!—აირია ისევ ხალისიანი ხმები ერთმანეთში და...

— შევადგინოთ რ ევკომი...—განაცხადა იასონ ცინცაძემ,—დრო აღარ ითმენს...

— რა არის რევკომი?—იკითხეს აქეთ-იქიდან.

— რა არის? აბა ვინ იცის?

-- რა არის და **რევოლუციონური კომიტეტი**,—წამოვიძახე ჩემდა ძალაუნებურად..

— აი, ყოჩაღ! ივარგეთ, ივარგეთ, ახალგაზრდებო!

იასონმა ზურგზე ხელი დამკრა და თუთუნს მოუკიდა...

— აბა, შევუდგეთ რევკომის შედგენას... საჭიროა ხუთი კაცი...

— იასონ!

— გრიშა!

— მელიტონ!

— ლადიმე.

— გაბო! კომკავშირელი გაბო უნდა შევიყვანოთ რევკომში..

— უეჭველად უნდა შევიყვანოთ. გაბო ჩვენი მდივანიც იქნება...

— თავმჯდო...



ბ ა თ ო მ ი. პირველი ნავთსაწმენდი ქარხანა

# ხუთწლიანი გეგმის რუკა

სულ სხვაგვარი რუკა არის
ბავშების წინ გადაშლილი,
შუაღამემ მოატანა
და არ მოსდისთ მაინც ძილი.

ხუთწლიანი დიად გეგმით
ანთებიათ მათ თვალები,
ინჟენრების სურვილს უძრავსთ
ინდუსტრიის მწვერვალები.

ეს ზღაპარი არ ჰგონიათ
და არც რამე მოჩვენება,
ახალ ქვეყნის მშენებლობა
გაუხდიათ ურყევ მცნებად.

სულ სხვანაირ რუკას სწავლობს
დღეს ბეჯითად ნორჩი ძალა;
ქარხნები და ფაბრიკები
მის თვალის წინ გადიშალა.

ზაჰესი და ვოლხოვსტროი
აღარ ჰყოფნის დიად კავშირს;
და დღევანდელ ბავშის ფიქრიც
აღარ ჰგავს ფიქრს ძველი ბავშის.

მტკიცე რწმენით, ნათელ აზრით
გამსჭვალულა მათი გული,
რომ ხუთწლიან გეგმას მოსდევს
მრეწველობის გაზაფხული.

**დ. თურდოსპირელი**

---

— თავმჯდომარედ ამხ. იასონი იქნება.

— მაშ, ასე... მივდივარ ჟ ერობის კანცელარიის ჩასაბარებლად...

— ამხანაგებო, იარაღი ხომ გაქვთ ყოველი შემთხვევისათვის?..

— ერობაში ახლა არავინ იქნება... წელან დაცლილი იყო ყველაფერი,—დაურთო სიტყვა ახლადმოსულმა ნიკიფორემ და ჩვენს რაზმს შემოუერთდა..

ჩვენ იმ ღამითვე შევედით დაბაში და საქმეები გადავიბარეთ ..

* * *

გაბომ რვეული დახურა...

აწითლებული სახით პიონერებს გადახედა და ..

— ეს იყო, ჩემო მეგობრებო, ამ ცხრა წლის წინად...

ახლა ხომ ხედავთ, თუ რა საქმიანობაშია გართული ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ მაინც თავის დროზე ვიგონებთ განვლილ ბრძოლებს. . ვიგონებთ განვლილ გაკვეთილებს...

დღეს აშით ვამთავრებ თქვენთან საუბარს...

გახსოვდესთ ყველას, რომ ხვალ 25 თებერვალია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე საქართველოში...

დარბაზი ტაშით დაიცხრილა და სახეალეწილი პიონერები ციბრუტივით დატრიალდენ დათოვლილ ეზოებში.

**პანტ. ჩხიკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის ხუთწლიანი გეგმა

თქვენ ყველამ იცით, თუ როგორი მტრული განწყობილება აქვთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ჩვენს საბჭოთა კავშირთან. ეს მტრობა იმით არის გამოწვეული, რომ ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო მშრომელი ხალხის დაჩაგვრასა და დამონავებას ცდილობს და ვერ მოუნელებია ჩვენი კავშირის მშრომელი ხალხის თავისუფალი ცხოვრება-აღორძინება. ამ მტრულ განწყობილებაში მყოფ სახელმწიფოებთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირს მეტად უძნელებს საქმეს ის, რომ ჩვენი ქვეყანა წინანდელ მებატონეთა და მეფური ხელისუფლების წყალობით თითქმის ყველაფერში ჩამორჩა ბურჟუაზიულ ქვეყნებს.

იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომებმა ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო გაადიდა. მართალია, მას შემდეგ, რაც ძალა-უფლება ხელთ იგდო მშრომელმა ხალხმა და მშვიდობიანობა დამყარდა, ჩვენმა კავშირმა სწრაფი ნაბიჯით იწყო წინსვლა და ომამდე არსებულ მდგომარეობას გაუსწრო კიდეც, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ჩვენ იმდენად განვავითაროთ ყოველი დარგი ჩვენი მეურნეობისა, რომ არაფერში აღარ ვიყოთ დამოკიდებული ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ბრძოლის საბოლოოდ მოგებას და მთელი ქვეყნის მშრომელი მასის განთავისუფლებას კაპიტალისტების მონობისაგან.

ასეთი დაწინაურებისათვის-კი საჭიროა მთელი რიგი საკითხების გაშუქება და მთელი რიგი ამოცანების შესრულება.

თქვენ ყველამ იცით, რომ სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მანქანების საგრძნობი ნაწილი ამჟამად თითქმის სულ უცხოეთიდან მოდის, რადგან ც სათანადო ქარხნები ჩვენში არ არსებობდა, ხოლო რაც აშენდა გასაბჭოების შემდეგ, მანქანების საჭირო რაოდენობას ჯერჯერობით ვერ ამზადებს.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირისათვის საჭიროა ასეთი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, ამისათვის კი უნდა აშენდეს სათანადო ქარხნები, რომ შესაძლებელი იქნას ყოველი საჭირო მანქანა-იარაღის დამზადება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასაშენებელია არა ერთი და ორი ქარხანა, არამედ ასი და მეტიც.

გვაქვს თუ არა ჩვენ ქარხნების ასაშენებელი მასალა? რასაკვირველია, გვაქვს. კავშირში მრავლად მოიპოვება დიდი სივრცის ტყეები და, მაშასადამე, შეიძლება ხე-ტყის მასალების დამზადება. არის ქვაც, კირიც და სხვ.

ქარხნებში უნდა დაიდგას მანქანები. გვაქვს თუ არა მანქანების გასაკეთებლად საჭირო მასალა? გვაქვს. როგორც მანქანებისათვის, რომელიც ფაბრიკა-ქარხნების ასამუშავებლად არის საჭირო, აგრეთვე იმ იარაღებისა და მანქანებისათვის, რომელიც სახალხო მეურნეობას სჭირდება, საჭიროა სხვადასხვა ლითონი: რკინა, სპილენძი, ფოლადი და სხვ.

ყოველივე ეს ჩვენი კავშირის ფარგლებში ბევრია, ოღონდ მოძებნა და დამუშავება უნდა. საბჭოთა კავშირში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ლითონით მდიდარი მადანი. მადნის ამოსაღებად უნდა გაკეთდეს მაღაროები, ხოლო ამოღებული მადანი გამოადნოს. გამოსადნობად საჭიროა ქვანახშირი.

ქვანახშირიც ბლომად არის ჩვენს კავშირში. მაგრამ ქვანახშირი მოიპოვება ერთ ადგილას, ვთქვათ, ტყიბულში, ხოლო ლითონის (რკინის; სპილენძის და სხვ.) მადანი სულ სხვაგან— ურალზე, ე. ი. რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში: მადანი გავგზავნოთ ტყიბულში, რომ იქაური ქვანახშირით ვისარგებლოთ, თუ ტყიბულის ქვანახშირი გავგზავნოთ ურალზე? ან იქნებ სჯობია გამოსადნობი ქარხნები სულ სხვაგან ავაშენოთ და იქ გავგზავნოთ როგორც გამოსადნობი მადანი, ისე გამოსადნობად საჭირო ქვანახშირი? იქნება ეს საქმისათვის ხელსაყრელი თუ არა?

როგორც უკვე გამორკვეულია, ექვსი ტონა ლითონის მისაღებად საჭიროა ათი ტონა მადანი. მაშასადამე, მადანი რომ ვგზავნოთ სადმე გამოსადნობად, მრავალი ზედმეტი ტვირთის უსარგებლოდ გადატანა დაგვჭირდება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენთვის საჭიროა რამდენიმე მილიონი ტონა ლითონის დამზადება. მაშასადამე, გამოსადნობი ქარხნები უნდა აშენდეს ან მადნის მაღაროებთან, ან ქვანახშირის მაღაროებთან, იმისათვის კი, რომ გავიგოთ, თუ სად აჯობებს, უნდა ვიცოდეთ, რა არის მეტი საჭირო—ქვანახშირი თუ მადანი.

გამორკვეულია, რომ ქვანახშირი ნაკლებია საჭირო, ამიტომაც ქარხანა უნდა აშენდეს მადნების მაღაროებთან და იქ მივიტანოთ საჭირო ქვანახშირი.

მაგრამ აი კიდევ დაბრკოლება. იქ, სადაც მადნეულობა მოიპოვება, არ არის რკინის გზები, მაშ როგორ მივიტანოთ ქვანახშირი? როგორ და უნდა გავიყვანოთ ახალი გზები.

გავიყვანეთ რკინის გზები და მატარებლებით მივიტანეთ ქვანახშირი. მერე?.. რონოდები უკან ცალიერი დაბრუნდეს?

არა! უნდა ვისარგებლოთ ამ ცალიერი რონოდებით და გამოვგზავნოთ მადანი ქვანახშირის მაღაროებთან ტყიბულში, სადაც აგრეთვე უნდა აშენდეს გამოსადნობად მეორე ქარხანა.

ამრიგად რონოდები და ორთქლმავლები ტყუილად არ გაირბენენ ამოდენა გზას.

აი, დავამუშავეთ ლითონი, ავაშენეთ ქარხანა-ფაბრიკები, მოვაწყვეთ შიგ მანქანები, მაგრამ რით ავამუშავოთ ისინი?

ასამუშავებლად საჭიროა მამოძრავებელი ძალა. წინად მანქანებს ხელითაც ამუშავებდენ, ახლა კი ამისათვის ელექტრობას იყენებენ. მაშასადამე, უნდა ვიშოვოთ ელექტრობა, რომ მისი დენით ავამუშაოთ ჩვენი ქარხნები.

ამისათვის კი საჭიროა ელექტროსადგურების აშენება. აი, ავაშენეთ ელექტროსადგურებიც, როგორიცაა ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი, მაშასადამე, ელექტრობაც გვაქეს.

შეიძლება ამ შემთხვევაში ავამუშაოთ ყველა-ფაბრიკა-ქარხანა თუ არა? არა, ზოგიერთი ქარხანა საჭიროებს კიდევ სხვა მასალებსაც, მაგ. საფეიქრო ქარხნებს სჭირდებათ საქსოვი ძაფები, ხოლო ძაფის სართავ ქარხანას სჭირდება ბამბა, სელი, კანაფი და სხვ. მაშასადამე, საჭიროა მოეწყოს ბამბის, სელის, კანაფის და სხვ. მოყვანა-მოშენება. საჭიროა აგრეთვე პურის მოყვანაც, რომ მუშებს პური არ შემოაკლდესთ.

ვინაიდან ფაბრიკა-ქარხნები უკვე მოწყობილი გვაქვს, შეგვიძლია გავაკეთოთ მიწის დასამუშავებელი მანქანები —ტრაქტორები და სხვ. ამ მანქანებით შეგვიძლია დავამუშაოთ მიწა და მოვიყვანოთ ბამბაც, სელიც, კანაფიც და სხვაც, მაგრამ, აი, კიდევ: ბამბა ყველგან როდი მოდის. მის მოსაშენებლად საუკეთესო ადგილებად ითვლება თურქესტანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო; მაგრამ ის ადგილები, სადაც შეიძლება ბამბის საუკეთესოდ მოყვანა, ან უდაბნოს წარმოადგენს უწყლობის გამო (შირაქი, სამგორის რაიონი და სხვ.), ან ჭაობია, როგორც პალიასტომის ტბის მიდამოებში. მარტო საქართველოში ასეთი გამოუსადეგარი მიწა ასიათასი ჰექტარი აინც არის.

აი, ასეთი დაკავშირებისა და ფაბრიკა-ქარხნების აშენების საკითხი სერიოზულ შესწავლას და დამუშავებას მოითხოვს, რომ მუშაობა არ აირიოს და უნაყოფო შრომა არ იქნას გაწეული.

განა უნაყოფო არ იქნება ტრაქტორების დამამზადებელი ქარხნის აშენება, თუ არ გვექნება სათანადო ლითონები? ან, ვთქვათ, ლითონი საკმარისი გვაქვს, ავაშენეთ საფეიქრო ფაბრიკა, მაგრამ არა გვაქვს ბამბა და სელი ძაფებისათვის. ხომ უნაყოფო იქნება ამ შემთხვევაში ჩვენი შრომა, სანამ არ მოეწყობა ბამბის და სელის მოშენება? მაშასადამე, ამ შემთხვევაში საჭიროა საფეიქრო ქარხნის აშენება დაუკავშირდეს სართავი ქარხნის აშენებას, ხოლო უკანასკნელი—ბამბის, სელის და სხვ. მოშენე-



უტილწედლეულის შეგროვება ტფილისის კომკავშირლების მიერ.

როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? როგორ და გამოუსადეგარი ადგილები გამოსაყენებელი უნდა გავხადოთ. ჭაობები უნდა დავაშროთ, ხოლო უდაბნო ადგილებში არხები გავიყვანოთ და ნიადაგი მოვრწყათ. აი, როგორც აშურიანის (გორის ოლქი) ველზე მოიქცენ. იქაც არ იყო წყალი და საუცხოვო ყამირი ნიადაგი გამოუსადეგარი რჩებოდა, მაგრამ გაიყვანეს ტირიფონის არხი და ახლა ამ მიდამოებში შეიძლება მოშენდეს ჭარხალი, ხოლო ჭარხალი საჭიროა შაქრის ქარხნისათვის და ვინაიდან მისი მოშენება შესაძლებელი გახდა, ახლო მომავალში აშენებული იქნება შაქრის ქარხანაც.

აი, მცირე ნაწილი იმ საქმიანობისა და ამოცანებისა, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ შესრულებას.

მაგრამ ეს სისწრაფე მიზანშეწონილად უნდა იქნას დაკავშირებული საკითხებთან ისე, როგორც უკავშირდება ერთმანეთს ქვანახშირისა და მადნეულის გადაზიდვა.

ბას, ხოლო ამ მცენარეთა მოშენება უნდა დაუკავშირდეს მიწის სათანადოდ შემზადებას, ე. ი. მორწყვას ან ამოშრობას.

საქმის ასეთ შესწავლას და წესრიგის შემუშავებას ჰქვიან გეგმის შედგენა. ამჟამად შესწავლილ იქნა ჩვენი კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურული აყვავების საკითხები და ამ შესწავლის მიხედვით შედგა გეგმა, **რომლის განხორციელების შემდეგ ჩვენ არა თუ დავეწევით, არამედ გავუსწრებთ კიდეც კაპიტალისტურ ქვეყნებს და დავამყარებთ სოციალიზმს.**

ვინაიდან ყველა ამ საქმიანობის შესრულება სასწრაფოა, ამიტომ გეგმას ვადაც დაედო—ხუთი წელი.

აი, რა არის, დაახლოვებით, ხუთწლიანი გეგმა.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ამ გეგმის შესრულება მშრომელი ხალხისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ყველა მშრომელმა და მათმა შვილებმა თავისი ძალ-ღონით ხელი უნდა შეუწყონ მის განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრა და თორმეტი

ცხრა წელი სრულდება, მხოლოდ ცხრა წელი, რაც შეტრიალდა საქართველოს ისტორიული ჩარხი მშრომელთა საკეთილდღეო დ. 25 თებერვალს მოხდა ეს. აბა რა არის ცხრა წელი, მაგრამ რევოლუციის ხანაში ხშირად წელიწადი მთელ საუკუნეს და ხანდახან მეტსაც კი უდრის.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს გასაბჭოებიდან განვლილ მანძილს, წელთა რიცხვით ესოდენ მცირეს, პირდაპირ გაგვაოცებს ის მართლაც ზღვარული გაქანება, ის ძირ-ფესვიანი შეცვლა ცხოვრების, რასაკ ვხედავთ ყოველ დარგში, ყოველ საქმეში.

საქართველოს მთებს შეესია მშრომელთ მასები, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აუტეხონ ამ ცად ატყორცნილ გოლიათებს, წაართვან ცხრაკლიტულში მიმალული თვალმარგალიტი, წაართვან ნახშირი, ცემენტი, ხე-ტყე, წაართვან აქამდე უქმი დოვლათი საუკუნეთა განმავლობაში ჩაგრული მშრომელების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად...

აი მდინარე, ათას წლობით ლალი, უკადრი, როს გიჟდებოდა, რომ ანგრევდა თავის ნაპირებს და თავზარს სცემდა ტანჯულების სიმწრით ნათესებს. ახლა შებორკეს, ველარ აჰყრის გიჟურად ფაფარს, ველარ დასცემს, ვით ძველად, თავზარს მუდამ ოფლის მღვრელ მოსახლეობას: მას გზა შეუკრეს და უბრძანეს სოფელ-ქალაქებს გაუგზავნოს ელექტროს სხივი, მას დაავალეს აბრუნოს მანქანათ წყება, დახერხოს ხე-ტყე, ბეჭდოს წიგნები, აამოძრაოს ტრამვაი და გადაიყვან-გადმოიყვანოს ხალხი სწრაფად, ზიდოს ვაგონთა გრძელი რიგები და აკეთოს სამუშაო ნაირ-ნაირი...

— გვწყურია, გვწყურია! — ძლივს გასაგონად ისმოდა მინდორ-ველების მწარე კვნესა სხვადასხვა მხრიდან. ხახაგამშრალნი, ღონემიხდილნი, მზისგან დამწვარნი კვნესოდენ მწარედ, და არ იყო არსად მშველელი! საუკუნეთა განმავლობაში გატანჯულები, ძილს მიცემულნი, სიკვდილის კარს უკვე მიმდგარნი, დღეს სწორდებიან წელში და, სიმხურვალის ქეცისაგან შესაზარები, მწვანე სამოსით კოხტაობენ წყურვილმოკლულნი. დღეს ტირიფონა იზმორება ლიახვით მთვრალი და სალამს უძღვნის დიდ და მცირე არხების ლაშქარს...

— ტყვილა ნუ აცდენთ ამდენ მიწას, თავ ნუ აკლავთ ისეთ მცენარეთ, საცოდავ გროშებს რომ მოგცემენ შრომის ნაყოფად. — ასე ჩურჩულით, საცოდავად იხვეწებოდენ მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა კუთხის და უნარის მცენარეები, რომლებსაც გული უკვდებოდათ, როცა ხედავდენ, რა უნაყოფოდ მიდიოდა გლეხების შრომა. ახლა კი ჩაი იღიმება, ზეიმობს თუთა, რამიც მოსულა შორეული იაპონიით, აქ თავს იყრიან ტექნიკური მცენარეები, რომ ააყვაონ მშრომელთ მხარე თავისუფალი.

ვით სოკოები, იზრდებიან შენობები ნაირ-ნაირნი, ფაბრიკა-ქარხნის მილების ტყე მიაპობს ჰაერს, რომ შემუროს საქართველოს ცა, ამდენი ხნის განმავლობაში უზრუნველი, თავისუფალი. აქ მანქანები დარაზმულან, ვით დევ-გმირები, რომ დატრიალდენ, აგუგუნდენ, აამოძრაონ ათასგვარი თვისი თითები და მოგვიქსოვონ აბრეშუმი, მოგვცენ მაუდი, გორის ჭარხლიდან გამოსწურონ ჩვენთვის შაქარი, ხე-ტყე აქციონ ნაირ-ნაირ ავეჯეულად და გაგვიმზადონ ქაღალდი, ისე საჭირო, ვით ყოველი თევზისთვის წყალი.

აჰა, ტრაქტორთა კოლონები გამზადებულნი, რომ შეუშფოთონ ძილი მიწას, გადააბრუნონ, ყამირი მიწა შეამზადონ თესლის სათბურად, გადააშავონ მინდორ-ველთა სიგრძე-სიგანე, მოგვცენ ხორბალი და მცენარე ნაირ-ნაირი, უფრო მეტი და უკეთესი. მწარედ წუწუნობს მამა-პაპის „ქებული გმირი“ სახნის-გუთანი, რომ გასვლია ვადა სიცოცხლის და შურის თვალით სურს გააპოს მძლავრი მანქანა, გუგუნ-გრიალით რომ მიაპობს ველებს და მინდვრებს.

წავიდა ის დრო, როს წურბელას ჰქონდა უფლება ეწუწნა სისხლი მშრომელების შეუბრალებლად, როს სოფლად ყოვლის შემძლე იყო მხოლოდ ბობოლა და სარგებლობდა სხვისი შრომით, სხვისი ამაგით. უკვე აზვირთდენ მშრომელების ათასეულნი, „შენ-ჩემობიას“ რომ მოუღონ როგორმე ბოლო, დაიწყონ იმათ აწ ცხოვრება კოლექტიური და დედამიწაც აიძულონ გულუხვად იყოს...

მოჯამაგირეთ და ღარიბთა მტკიცე რაზმები შეიარაღდენ ფანქრებით და რვეულ-წიგნებით, რომ შეისწავლონ ბუნებაზე გაბატონება, რომ არ გაუშვან მტკიცე ხელი ცხოვრების საჭეს, რომელსაც მხოლოდ ამ ცხრა წლის წინ დაეპატრონენ.

კიდევ... ვინ მოთვლის, კიდევ რა ჰქნა ამ ცხრა დევ-გმირმა, მეოცე ასეულის სახელოვანმა რაზმმა!

აბა რას გვეტყვის, ნეტავ, თორმეტი? მან მოგვცა პირმშო, რომელსაც ჰქვიან „წითელი ჯარი“. ახალგაზრდაა, მაგრამ მძლე და შეურყეველი, თვითონ ხომ ფხიზლობს და დარაჯობს კავშირის საზღვრებს, მაგრამ არა ერთს უფრთხობს ტკბილ ძილს ზღვების გადაღმა, სადაც დაგროვდა ძველი ქვეყნის ნაყარ-ნუყარი, სადაც კბილს ალრჭენს იარაღში სულ მთლად ჩამსხდარი კაპიტალიზმის ციხე-ბურჯის მცველი ლაშქარი — კაპიტალისტი, თავის ღიპით, მუშათ სისხლში გასვრილი ხელით, ანაფორაში გახვეული „წმინდა მამები“ ცბიერი ღიმით და ლაქიების, კაპიტალისტთ ფინიების ლეგიონები.

თორმეტი წლის ნორჩო ჭაბუკო, მტკიცედ გწამს და ეს ასეც არის, რომ მომავალი სულ ყოველგან მხოლოდ შენია, შენი „თეთრონი“, ვით ზღაპრული ამირანისა, მალე გასცურავს ოკეანეს, რომ გააწითლოს დროშების ელვით დასავლეთის დანისლული ცა...             **შ.**



მუშკოოპის პირველი დამექ ნიზებული ქარხნის აშენება ტფილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გივის ბრიგადა

პირველი რგოლის სახელით გივიმ საერთო კრებაზე გამოაცხადა:

— ვაგროვებთ 640 კილოგრამ უტილნედლეულს და ვიწვევთ მეორე რგოლს სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვადად ვდებთ ორ დღეს.

ამხანაგებო! მილიონები ყრია უპატრონოდ, მინდვრად, ქარისა და წვიმის ანაბარად. ჩვენ შეგვიძლია იგი შევკრიბოთ, ტრაქტორებად გადმოვადნოთ და სოფელს შევუსიოთ. ჩვენ შეგვიძლია მათგან მივიღოთ ბევრგვარი სარგებლობა და განსაკუთრებით დღეს გვჭირდება ეს ყველაზე უფრო, დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში უჩვეულო ამბავი ხდება . . .

მუსიკა უკრავდა გულის ამაჩუყებლად და გაისმოდა განუწყვეტელი ტაში.

ამ საღამოს მეორე რგოლმა მიიღო გივის გამოწვევა და თავი დამკვრელ ბრიგადად გამოაცხადა.

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, ქალაქის გარეუბანში შეკრებილ ამხანაგებს ამხნევებდა გივი:

— არიქა, ბიჭებო! არ გვაჯობოს მეორე რგოლმა, ჩვენ გამოვიწვიეთ შეჯიბრებაში, ისიც საერთო კრებაზე, და პირდაპირ თავი მოგვეჭრება. ხომ ხედავთ, რაღაც შენობა დაუნგრევიათ და ახალი აუშენებიათ. აუარებელი რკინის ნამსხვრევი, თუჯის ზოდები და თუნუქი ჰყრია. არიქა, ბიჭებო, მარჯვედ . . .

— არა, გივი, ტყუილად ჯავრობ: მეორე რგოლი ჩვენ ვერ გვაჯობებს! ჩვენ სულ სხვა ხალხი ვართ, მხოლოდ წავიდეთ. რა შუაშია აქ ლაპარაკი!?

— წავიდეთ . . . წავიდეთ . . .

და გარეუბანში მთელი დღე დარბოდენ გივის ბრიგადელები. ან ჭიანჭველებივით ეჭიდებოდენ რომელიმე სახარბიელო „ლუკმას“, ან ძეძებრებივით დაეძებდენ მას: ეზოებში, გადაფხეკილ ნამოსახლარში, ქუჩის სანაპიროსთან, ყველგან . . .

თვალწინ ქალაქი ბორგავდა. ცამდე აზიდული ქარხნის შავი მილები ხარბად ბოლავდა. უზარმაზარი კვამლის რუხი ღრუბლები ჯერ ხომალდივით დასცურავდენ, შემდეგ განაპირა სერებს ქარისაგან მოტანილ ფანტელა ნისლივით ედებოდენ.

მზე ისე გადასცილდა შუადღეს, არავის გაუგია დაღლა. მატულობდა შეგროვილი ნედლეულის გორა, და გივის ბრიგადის სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი.

—ახლა ნამდვილად 640 კილოგრამზე მეტი იქნება! . . .

— მეც ასე მგონია!

— ჩვენ ხომ 640 კილო უნდა შეგვეგროვებინა! . . .

— არა, ამხანაგო, რაც არის, სულ უნდა მოვაგროვოთ. მით უფრო კარგი, თუ მეტი მოგვივიდა . . .

ბრიგადელები ისევ დარბოდენ საღამომდე, ისევ გამოჰქონდათ ნამსხვრევები: კალათებით, კალთებით, იქვე გაკეთებული თუნუქის ,,ურმებით“, „ავტომობილებით“.

საღამოზე კი თითქმის ყველა აცხადებდა:

— ამ რაიონში მეტი არაფერი დარჩა, ძმაო, დავიღალე . . .

და ხარბად უყურებდენ შეგროვილ გორას.

— მეორე რგოლი ვერ იშოვიდა ამდენს!

— უდავოა, ჩვენ გავიმარჯვეთ.

შემდეგ გივის ბრიგადელები მწკრივში ჩადგენ და განუწყვეტელი სიმღერებით ქუჩები გადმოლახეს.

სკოლის შენობას რომ მოუახლოვდენ, მეორე რგოლის ბიჭები შემოხვდენ.

— რა ჰქენით, ამხანაგებო?

— შევაგროვეთ. თქვენა?!

— ჩვენც შევაგროვეთ. მაშ ხვალ დილას უნდა ჩამოვიტანოთ, არა?

— დიახ!

— ჰო! სულერთია, ჩვენ გავიმარჯვებთ! გივის ბრიგადა გაიმარჯვებს.

— ეხეხეე! ვნახოთ, ვნახოთ! . . .

მეორე დილით ორი საბარგული დაიქირავეს. ერთი მეორე რგოლმა წაიყვანა, მეორე—გივის ბრიგადამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სკოლის ეზოში მეორე რგოლის საბარგული ყელამდე დატვირთული და გავსებული შემოიყვანეს. აუარებელი თუჯი, ეკლიანი მავთული, რკინის ნამსხვრევი და თუნუქი იქვე მიდორზე დაყარეს. ახლა მოუთმენლად ელოდენ გივის საბარგულს. ცოტა ხნის შემდეგ კიდევაც გამოჩნდა იგი, მაგრამ მნახველს მაშინვე თვალში ეცემოდა, რომ საბარგულზე შედარებით ნაკლები ნედლეული ეყარა.

გივის ასგვარად შეეცვალა ფერი, როცა მინდორზე აუარებელი ნამსხვრევი უზარმაზარ გორად დაყრილი ნახა. და ტუჩებში თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დამარცხდა ჩვენი ბრიგადა . . . სად მოაგროვეს, ნეტავი, ამდენი!

როდესაც ეზოში შემოვიდა გივი, მეორე რგოლის ბიჭებმა ოხუნჯობა დაუწყეს.

გივის ლურსმანივით ესობოდა თითოეული სიტყვა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა აეტანა. წითლდებოდა, ხელებს ასავსავებდა, ამხანაგებს ყველაფერზე უაზრო პასუხს აძლევდა და იმ წუთს ყველაფერს ერჩია დაკარგულიყო სადმე, იმ ეზოს მოშორებოდა . . .



პიონერები ათვალიერებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერები სოფლად აკეთებენ კვალს

გივიმ საბარგულიდან ნამსხვრევები ჩამოაყრევინა, შემდეგ მთელი ბრიგადა გაიყოლია და ქუჩის ბოლოს რაღაც გეგმა მოაწყო:

— სადმე „მიწიდან უნდა ამოვთხაროთ‘, ამხანაგებო, უნდა ვიშოვოთ. გესმისთ?

— ჰო, ჰო, გვესმის!

და ბრიგადა დაიშალა.

საღამოს სკოლის ეზოში თითქმის ყველა მოწაფეს მოეყარა თავი.

ნედლეული უნდა აეწონათ და რომელიმე რგოლისათვის შეჯიბრებაში გამარჯვებული ეწოდებინათ.

თითქმის ყველასათვის აშკარა იყო, რომ გივის ბრიგადა დამარცხდა.

— კარგი, მარა სად შეაგროვა ამდენი ნედლეული მეორე რგოლმა?!—კითხულობდა ერთი.

— როგორ, თუ სადა? სარდაფებში, მივიწყებულ სადგომებში, ეზოებში, ქუჩებში . . .

— კარგად კი შევიგროვებიათ, ამხანაგო, აფერუმ!

— კარგად შევაგროვეთ, მაშ . . .

უცებ სადღაც დაიძახეს:—გივის ბრიგადა მოდის, გივის! . . .

ყველამ ქუჩისკენ გაიხედა; გივის ბრიგადელები მართლა მოდიოდენ და ზურგით ზოგი გავსებულ ტომარას მოათრევდა, ზოგი თუნუქის კონას, ზოგიც შეკრულ ქაღალდებს. მოწაფეები გაოცებამ მოიცვა:

— აი ყოჩაღ! აი ყოჩაღ, გივი! ხედავ, რა უქნია?!. . .

გივის ბრიგადას სახე უცინოდა. საერთო სიხარულის ყიჟინით შემოვიდენ ეზოში და დამატებით შეგროვილ ნედლეულს თავისი ნამსხვრევების გორას უმატებდენ. მეორე რგოლის ბიჭებმა თავი ჩაქინდრეს:

— ეს არ შეიძლება, ეს მოტყუებაა!.. ხვალ დილამდე არ უნდა აიწონოს!

მაგრამ მათ ჩივილს არავინ უგდო ყური. გივი პირდაპირ მივიდა ამწონთან და სერიოზული კილოთი უთხრა:

— აბა, ავწონოთ, ამხანაგო!...

ნედლეული აწონეს: გივის ბრიგადას 960 კილოგრამი შეეგროვებინა, მეორე რგოლს უფრო ნაკლები.

— ჩვენ გავიმარჯვეთ! ვაშაა!—გრიალებდა გივის ბრიგადა.

— არც ჩვენ დავმარცხდით! ნორმა ჩვენც შევასრულეთ! ბოლოს მოვტყუვდით მხოლოდ,—იმართლებდენ თავს მეორე რგოლის ბიჭები.

# პიონერი მურზილ

სადაც ხევები დახეულია  
მთებით მომქუხარ მდინარეებით;  
იქ, მთის სოფელში; დაარსებულა  
დღეს კოლექტივი პიონერების.  
როცა ხევებში ღამე დაგუბდა  
და მყინვარები მაინც მზეობდენ,  
გლეტჩერთ გრიალი ოდნავ დადუმდა  
და მთებს ნისლები არ ესეოდენ,—  
მაშინ დაბრუნდა კოლექტივიდან  
მურზილ (ვინც უკვე პიონერია),  
მათ ჩაბათობა ჰქონდათ დილიდან,  
დიდ სამუშაოს რომ მოერიენ.  
ჰვარტლიან სახლში ცეცხლთან მიმჯდარმა  
ბაბუამ უთხრა პიონერს წყრომით:  
—რატომ არ არის შენშიც გამჯდარი  
ადათ-წესები გვაროვნულ წყობის?  
ან რათ დადიხარ თქვენ'ა კოლექტივში  
მოსისხლე გვარის ბავშებთან ერთად,  
შენ უნდა გქონდეს მოხუცის შიში  
და მორიდება ძველ ადათებთან.  
აბა რას მოჰგავს ეს საქციელი,  
თითქოს ჩემი თქმა გსურს დაარღვიო.  
სვანურ წესებთან რუ ხარ ცბიერი,  
მოხუცობის დროს არ გადამრიო...  
— ვიცი, ბაბუა, გეხამუშება  
უმცროსის შენთან გაკამათება,  
ჩემში ახალი ყოფა შუქდება,  
ველარ მომხიბლა ძველ ადათებმა.  
მე კოლექტივი მზრდის სულ სხვაგვარად,  
თქვენებურ აღზრდის საპირდაპიროდ,  
ხედავ, შენს სიტყვას ძალა აღარ აქვს,  
კვლავ შენს მოსმენას როდი ვაპირებ.  
იქნებ არ იცი რა ამბებია:  
ბარი სავსეა კოლექტივებით.  
აღფრთოვანებით ეგებებიან  
მშრომელნი მოშლას მიწის მიჯნების.  
ხედავ, კეთდება დღეს გზა სვანეთში,  
ენგურს აგუბებს ელსადგურები!  
მალე გვექნება ამ მთამხარეშიც  
კოლექტივები და კომუნები.  
პიონერები ინდუსტრიალურ  
ახალ ცხოვრების მშენებლები ვართ!..  
შენ კი გიგანტურ ჩვენსა სიარულს  
უკმაყოფილოდ შეგებებიხარ.  
ჰვარტლიან სახლში კვამლი იდგა და  
იჯდა მოხუცი გაფითრებული,  
ხევში ახალი ხმა აგრიგალდა,  
ხმა პიონერთა, ხმა მშენებლური!

**შალვა შამფრიანი.**

---

შემდეგ სკოლის ეზოში სიმღერა და ცეკვა გაიმართა. გივის ბრიგადას შემოუერთდა მეორე რგოლი. შეგროვილიც შეაერთეს და ერთმანეთს პირობა მისცეს:

— ახლა ყველამ, ჩვენი რგოლების სახელით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიოთ მუშათა უბნის მეხუთე კოლექტივი.

**გ. გვასალია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება პიონერბრიგადების მუშაობას

ამჟამად დამკვრელი პიონერბრიგადების სოფლად გაგზავნა ქალაქის პიონერკოლექტივის სოფლის პიონერკოლექტივზე მუდმივი დახმარების ძირითადი ფორმის ხასიათს იღებს.

წარსული მუშაობის გამოცდილება ამბობს, რომ მარტო „26 კომუნარის“ რაიონში მუშაობდა გასულ წელს 8 პიონერბრიგადა. მსგავსი ბრიგადები იყო ჩამოყალიბებული ქ. ტფილისის ლენინის რაიონში და ნორჩ პიონერთა სხვა ორგანიზაციებში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს წარსულ მუშაობაში შემჩნეულ სხვა ნაკლთა შორის ის, რომ 1) ბრიგადებში მიზიდული არ იყო შეუკავშირებელი ბავშობა და 2) ბრიგადების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების საქმე დაგვიანებით იყო წამოწყებული.

აღსანიშნავია, რომ აჲჟამად სოფლებში გაცხარებული ტემპით მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანია პიონერორგანიზაციისა და ამასთანავე ერთად მოწაფეობისა და შეუკავშირებელი ბავშების ყველა ძალის მობილიზაციას მოითხოვს, რომ **უკანასკნელებმა დახმარება აღმოუჩინონ პარტიასა და კომკავშირს სოფლად დასახული ამოცანების შესრულებაში, თესვის კამპანიისა და, განსაკუთრებით, მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში.**

ჯერჯერობით სოფლად რამდენიმე პიონერბრიგადაა გაგზავნილი, რომელთა მიერ ჩატარებული საქმისა და გამოცდილების შესახებ ძალიან ცოტა იციან სხვა პიონერორგანიზაციებმა, ყოველ ასეთ გამოცდილებაზე კი უნდა იზრდებოდენ და სწავლობდენ დანარჩენი ჩამორჩენილი ჯგუფები. ამ მხრივ ქალაქის პიონერკოლექტივებმა მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გააფართოვეს, რის გამო სოფლის პიონერკოლექტივებს ჯერაც არ მოუკიდნიათ ხელი საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის როგორც სკოლებში, ისე თვით კოლექტივებშიც.

ჩვენ უნდა გარდავქმნათ მუშაობა იმ მხრივაც, რომ დასახული ღონისძიებანი სრულდებოდეს ჩქარა და დაკვრითი წესებით. ასეთი სახის მუშაობის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს პიონერთა **დამკვრელი ბრიგადების მუშაობა.**

ამ ბრიგადებში უდავოდ მიზიდულ უნდა იქნან მოწაფეობა და შეუკავშირებელი ბავშები. თითოეული პიონერი ვალდებულია გრძნობდეს და სთვლიდეს თავის თავს დამკვრელ ბრიგადირად ამა თუ იმ სასოფლო სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში. თითოეულმა პიონერკოლექტივმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწყოს დამკვრელი ბრიგადები და გაგზავნოს სოფლად, უპირველეს ყოვლისა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, სადაც პიონერბრიგადამ ადგილობრივ პიონერკოლექტივთან და მოწაფეობასთან ერთად უნდა შეადგინოს გეგმა, თუ რის გაკეთება შეუძლიათ ბავშებს აღნიშნული საკითხების გარშემო, განსაკუთრებით კი კოლექტივიზაციისა და მოსავლიანობის გადიდებისთვის ბრძოლის საქმეში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა უბნებში.

სოფლის ახალგაზრდობამ თვითონ უნდა ამოირჩიოს საქმე, რომლის შესრულება მას აინტერესებს, რითაც ამავე დროს დაეხმარება პარტიასა და კომკავშირს სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში.

ბრიგადები და სხვა ბავშები აქედანვე უნდა შეუდგენ აგროლიტერატურისა და სასწავლო წიგნების შეძენას კოლმეურნეობათა ბავშებისათვის, უნდა მოაწყონ რადიომიმღები, უნდა დასწეროს თითოეულმა ბრიგადამ არა ნაკლებ 10 პლაკატისა და ლოზუნგისა აღნიშნული კამპანიის შესახებ.

ბრიგადები შემოიკრებენ მეჩანგურეებს, მოცეკვავეებსა და მომღერლებს, რომ ეს ძალები გამოიყენონ კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდისათვის, მანქანა-ტრაქტორების მუშაობისა, მრავალწლიან კონტრაქტაციისა და სხვა საკითხებისათვის.

სოფლად ბრიგადების თითოეულ გამგზავრებას წინდაწინ დასახული მიზანი და სამუშაო ამოცანები უნდა ჰქონდეს. აი რატომ არის საჭირო ვემზადოთ ყოველი გამგზავრების წინ და დავამზადოთ უახლესი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მოდელები — სანიავებლის, სათესის და სხვა. უნდა დაიხატოს კულაკებისა და მათი დამქაშების კარიკატურები, დაიწეროს კედლის გაზეთები ამ საკითხების გასაშუქებლად და, სადაც შესაძლებელია, მოეწყოს ინსცენირობები, საღამოები და კონცერტები.

პიონერბრიგადებმა უპირველეს ყოვლისა უნდა შეისწავლონ ცხოვრების პირობები, კოლმეურნეობებში პიონერკოლექტივის მუშაობისა და შრომის პირობები და იქვე აღნიშნონ, როგორ აღმოფხვრან არსებული ნაკლი და როგორ განამტკიცონ მათი წარმატება და მიღწევები.

ბრიგადებმა დახმარება უნდა გაუწიონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, დაეხმარონ სოფლის ბავშებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში.

უწინარეს ყოვლისა ბრიგადები ვალდებული არიან აიღონ ინციატივა და საგამოკვლევო მუშაობისა და გამოცდილების საფუძვლებზე მოაგვარონ ქვემოჩამოთვლილი საქმეები:

**მოაწყონ სოფლის ახალგაზრდობიდან ბრიგადა, რომელმაც უნდა მოამზადოს სათესლე მასალა და მიწა დასათესად**: თესლის დახარისხება, მოწამვლა, ნაცრის შეგროვება და შენახვა ნიადაგის გასაპოხიერებლად; უნდა დაეხმარონ აგრონომსა და ცნობათა მაგიდებს მუშაობაში,



პ:ონერები ესაუბრებიან შეუკავშირებელ ქურთ ბავშს

ეროვნული

მოაწყონ პიონერთა მორიგეობა სხვადასხვა დავალებათა განსახორციელებლად.

**მოაწყონ საბავშო სასოფლო-სამეურნეო კოლმეურნეობანი**, არტელები მეფრინველეობისა, მეაბრეშუმეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა, მებაღეობისა, ▪აის და სხვა კულტურებს გაშენებისა, რისთვისაც უნდა მოეწყოს მუდმივი შეგროვება უტილ ნედლეულის, ძველმანებისა, რქა-ძვლებისა, რკინის ნამტვრევებისა, აგრეთვე ხილის, სოკოებისა და საწამლე მცენარეულობის; შეგროვილი თანხები უნდა მოხმარდეს კოლმეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეს.

**დამკვრელი, მებრძოლი წესებით იქნას ჩატარებული კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდა.** მოეწყოს გაზეთებისა და აგროლიტერატურის კითხვა, მოეწყოს ქოხ-სამკითხველოებში რადიომიმღები; მოეწყოს მშობლების ექსკურსია უახლოეს საბჭოთა მეურნეობაში. მოეწყოს კოლმეურნეთა აგიტლაშქრობა მახლობელ სოფლებში კოლექტივიზაციის ჩატარებისათვის. მოეწყოს კოლექტივიზაციის კუთხე და გაწეულ იქნას კოლმეურნეობათა მიღწევების პროპაგანდა-აგიტაცია. მოეწყოს მუშაობა კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებისათვის, ბალახ-ბულახისა და მავნებლების მოსპობა, ნათესის თავის დროზე მორწყვა და სხვა. სანიმუშო მუშაობა კოლმეურნეობათა საუკეთესო აგიტატორია კოლექტივიზაციის იდეებისათვის. თავის დროზე უნდა იქნას მიღებული ზომები კოლმეურნეობის პირველი კვალის, ტყისა და ფრინველის დღის ზეიმისათვის.

**მოეწყოს პიონერებიდან ჯგუფი მსუბუქი კავალერიისა.** კულაკებისა და მათი დამქაშების კონტრევოლიუციონური საქმიანობის გამოსააშკარავებლად, არსებულ ნაკლთა სამხელად და ყოველი ხელისშემშლელის გამოსამჟღავნებლად, გამოყენებელ უნდა იქნას კედლის გაზეთები და სხვა ბეჭდვითი ორგანოები.

ამის გარდა ჩასატარებელია ბევრი საინტერესო და სასარგებლო საქმე, საჭიროა მხოლოდ მიგნება ამ საქმეების, ინიციატივის აღება ხელში და მისი განხორციელება. იქ, სადაც შესაძლებელი არ არის პიონერთა აქტივის ბრიგადის კურსების მოწყობა, სისტემატიურად უნდა ტარდებოდეს დამკვრელთა თათბირები, კონფერენციები, როგორც ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, აგრეთვე გამოცდილებათა და მიღწევების ურთიერთ გასაცნობად.

გაძლიერებულ უნდა იქნას ბავშთა კომორგანოების ბიუროსა და კომკავშირის ყურადღება პიონერბრიგადების მუშაობაზე; ყოველ ათ დღეში ბრიგადებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები თავისი მუშაობის შესახებ ბ. კ. ო. ბიუროსა და კომკავშირის უჯრედში, რის მეოხებითაც შესაძლებელი გახდება ბრიგადისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევა და დახმარების აღმოჩენა.

**დამკვრელი პიონერბრიგადებიდან ჩვენ გადავალთ პიონერმუშაობის დამკვრელ ტემპზე. საგაზაფხულო თესვის კამპანიაში საუკეთესო მონაწილეობის მიღებისთვის სოცშეჯიბრების საშვალებით ჩვენ უზრუნველვყოფთ პიონერკოლექტივებისა და მოწაფეების ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების მაღალ ტემპს.**

**მ. კოლიუხი.**

# ბაზები და კოლექტივები ეჯიბრებიან ერთმანეთს

საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატმა მიზნად დაისახა ასწიოს ჩვენი ქვეყნის წარმოება, შექმნას მძიმე ინდუსტრია, ააშენოს სოციალიზმი; ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა მიზნად დაისახეს 5-წლიანი გეგმის 4 წელში შესრულება, ქარხანა ქარხანას ეჯიბრება, დაწესებულება დაწესებულებას და სხვ.

ლენრაიონის პიონერორგანიზაცია ამ საერთო საქმეს არ ჩამორჩა, მანაც შექმნა რაიონში სოციალისტური შეჯიბრების შტაბი და და სახა მიზნად მიიღოს მონაწილეობა სოციალიზმის მშენებლობაში, აქტიური დახმარება გაუწიოს თავის მშობლებს, შეასრულოს 5-წლიანი სამეურნეო გეგმა 4 წელში.

პიონერკოლექტივები შეუდგენ უკვე დიდი ხანია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებას, მაგალითად: მე-2 პ/ბაზამ გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში მე-5 პ/ბაზა; შეჯიბრების პირობებში აღნიშნულია საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა, წარმოებასთან კავშირი და სხვა. არის კოლექტივები, რომლებმაც უკვე დადებული ხელშეკრულებები შეასრულეს და შეუდგენ მეორე ხელშეკრულების დადებას.

სოციალისტური შეჯიბრება ლენინის რაიონში პიონერორგანიზაციის ხაზით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონის პ/კოლექტივების ხელმძღვანელების თათბირმა ერთხმად დადგინა გამოიწვიოს სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალაქის რაიონი და ბაქოს ერთ-ერთი რაიონი. ჩვენი ორგანიზაცია არ ჩამორჩება საერთო საქმეს და თავისი ხაზით სოცშეჯიბრებაში შეტანილ მუხლებს სრული 100 %-ით შეასრულებს.

**ლენრაიონის ნ/პ კოლექტივებში.**

პიონერკოლექტივებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული საერთო დირექტივები საუტილიზაციო ნედლი მასალის (ძველმანების) შეგროვების შესახებ, რომ პიონერკოლექტივებმა დაიწყეს ერთმანეთის გამოძახება სოცშეჯიბრების სახით; თითოეულმა პიონერკოლექტივმა დაიწყო ერთმანეთის გამოძახება სოცშეჯიბრების სახით, თითოეული პ/კოლექტივი შეაგროვებს 200 ფუთს საუტილიზაციო ნედლეულს. რომელიც არ შეასრულებს ამ გამოძახებას, მის ხარჯზე უნდა იქნეს შეძენილი ერთი რადიომიმღები კოლექტივისათვის. მაგალითად: პიონერთა მე-5 ბაზამ გამოიწვია 500 ფუთზე 1, 2, 3, 4 და მე-8 ბაზები. პიონერთა აღნიშნულმა ბაზებმა მიიღეს გამოძახება და დასდევს პირობა 15 თებერვლამდე შეასრულონ აღნიშნული საქმე.

ამავე დროს ნ/პ. ლენრაიბიურომ დროულად დაამუშავა აღნიშნული საკითხი ჯერ პიონერკოლექტივების ხელმძღვანელების თათბირზე, მისცა სათანადო პრაქტიკული მითითებანი და სხვა. ჩვენი რაიონის პ/კოლექტივები შეასრულებენ იმ დიდ ამოცანას, რომელსაც საერთოდ ატარებს და ისახავს საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი.

ლენრაიონის პიონერთა ორგანიზაციამ წამოისროლა ლოზუნგი: ჩვენი რაიონის თითოეული პიონერი და მოსწავლე შეაგროვებს 1 ფუთ საუტილიზაციო ნედლეულს.

აღნიშნული ლოზუნგის განხორციელებას უკვე შეუდგენ ჩვენი რაიონის პიონერები.

**ბორის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანყი[1]

— რისთვის მოხველ?—შეეკითხა გენოს დედა.

— იცით, დეიდა, ამ ხუთშაბათს პიონერების დღეა, დიდი უქმეა. ჩვენ ყველანი, მთელი სკოლა, წითელ მოედანზე მივდივართ ფიცის მისაღებად.

— ფიცი? ვის, რაში?– გესლიანი დაცინვის კილოთი შეეკითხა გენოს დედა.

ხრიაპკინმა გაკვირვებით გააშტერა თვალები მის უცნაურ პასუხზე და მიუგო:

— როგორ თუ რისთვის?! ძია ლენინის ანდერძის შესასრულებლად.

სიჩუმე ჩამოვარდა.

გენო ვასო ხრიაპკინით ამაყობდა.

— მერე, რა გინდა?

— მე?.. გენოსაც ნება დართოთ ჩვენთან წამოვიდეს. იგი პირველი მოწაფეა და ჩვენ გვსურდა...

— არასოდეს! არავითარი წითელი მოედანი არ ვიცი! გენო გაცივდეს, დაავადმყოფდეს? არა და არა!

ხრიაპკინმა თავი დაღუნა, ეტყობოდა, რაღაც მკაცრი პასუხი უნდა გაეცა. გენო ტანში შეაჟრჟოლა, იცოდა ვასოს ხასიათი—არ შეაწევდა არავის, სათანადო პასუხით გაუსწორდებოდა. ვასომ თავი კიდევ შეიკავა, მხოლოდ მიუბრუნდა გენოს:

— აბა, ნახვამდე! მაშ, შინ დარჩები?

და წავიდა.

მალე დოლის ხმაც გაისმა, რაზმი ბაღიდან გზას გაუდგა. უკანასკნელ რიგებში პატარა ბიჭი და გოგონა ხელჩაკიდებული, დიდი ნაბიჯებით, რაზმს მისდევდა. გენო იცნობდა ამ პატარა ბიჭუნას; იგი მეეზოვე შიშკოვის შვილი იყო. რომელმაც უკვე დოლის დაკვრაც იცოდა, მხოლოდ დოლი მასზე მძიმე იყო, დიდიც, რაც ხშირად სიცილს ჰგვრიდა პიონერებს.

გენო დაღონებული იცქირებოდა ფანჯრიდან. პიონერებიც მიიმალენ, სახლს მიეფარენ; აი, ავტომაც წინ გაიქროლა, მერე ლამაზმა ეტლმა თეთრი ცხენით, მერე კიდევ ტრამვაიმ თავისი ხმაურობით, ზარით. ყოველივე მოძრაობს, მირბის, მიქრის, ჩქარობს. ყოველივე ტრიალებს ირგვლივ. ყველანი ხარობენ. თვალებზე გენოს ცრემლები ერევა. გენომ ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო ხატვა. მერე რაღაც ძალამ აზრები გაუფანტა, სისუსტემ მოიცვა იგი, ფანქარი შორს გადააგდო. თუმცა დაიწყო ლენინის სურათი, თმებიც, მარჯვენა თვალიც უკვე დახატული აქვს, რაც ყველაზე უფრო ძნელია, მაგრამ ხატვის ხალისი დაეკარგა, არც წიგნის კითხვა იზიდავს, იგიც მობეზრდა, შეიძულა.

იქ კი, წითელ მოედანზე, დროშები ფრიალებს, პიონერები ფიცსა სდებენ ლენინის წინაშე...

მეორე დღეს გენო სასწავლებელში ველარ წავიდა, ცუდად ეძინა, სიცხე ჰქონდა, ბოდავდა და კვნესოდა. დილით ცოტა უკეთ შეიქნა. მთელი ღამე არც მშობლებს ეძინათ, მის გვერდით ისხდენ, თავს დასტრიალებდენ. მამა დილით სამსახურში წავიდა და კართან დედას მიუბრუნდა:

— გთხოვ, ბავშს კარგად მოეპყარი, მოუალერსე. კმარა მისი წამება.

[1] დასაწყისი იხილეთ № 2-ში.



დამკვრელი ბრიგადირი

დედამ პასუხი არ გასცა და მოღუშული ჩაის ფინჯნებს ალაგებდა.

ნასადილევს ვასო ისევ მოვიდა გენოსთან, კარი მაგრად, რიხიანად დააკაკუნა. გენომ იცნო მისი ხმა.

დედა გამოვიდა:

— რა გინდა? გამეცალე აქედან! გენო ავად არის! თქვენ დამიღუპეთ იგი. წადი, მომშორდი!

ვასომ უკმეხად მიუგო:

— თვითონა ხართ დამნაშავენი, ტყვილად აბრალებთ სხვებს. თქვენ ღუპავთ მას და არა სხვა.

— რაო? შე არამზადავ! აბა კარგს რას ისწავლიდი ახლა! შე უზრდელო, რეგვენო; თვალით აღარ დამენახო!

— იმისთვის, რომ სიმართლე გითხარი?—მშვიდად უპასუხა ვასომ.

გენომ თვალები გამოსჭყიტა, სიხარულისაგან თავბრუ ესხმის.

— მე რომ ასეთი პასუხი შემეძლოს... — მე რომ ასე... —ფიქრობდა იგი.

—

აუარებელი პიონერია... 1.000.000 აღემატება. ყველას ერთნაირად აცვია, ლამაზად, მწყობრად მიდიან. გენო მეთაურია. დროშა ფრიალებს. დოლი უკრავს, საყვირის ხმაც გაისმის. მღერიან. გენოც მღერის, მისი ხმა უფრო შორს გაისმის, რიხიანი, მაღალი. გენო წინ მოდის, მას შავარშიანი წითელი ყელსახვევი აქვს. გენო ლენინს გლოვობს, რომლის წინაშე მამამისიც ქედს იხრის: ბუმბერაზი ადამიანი იყო.

საყვირის ხმაზე პიონერები მწვანე მდელოზე გაიშალენ. ძველი კომუნისტები ესალმებიან მოხუცი, ჭაღარა თმებით...

ექიმი ამშვიდებს:

— არა უშავს რა. ძარღვების აშლილობა ემჩნევა, სიფრთხილეა მხოლოდ საჭირო. ბავში მეტის-მეტად განვითარებულია. მეტი სიფრთხილე გმართებსთ.

— პიონერებმა...: ამ ქინკებმა, ქაჯებმა...— დედამ შეუწყვიტა სიტყვა.

— აუცილებლივ უნდა დასთანხმდეთ. მეტი გზა არ არის, უნდა ჩაეწეროს. პიონერობა—ჯანსაღობაა, მშვენივრად ჰკურნავს, განსაკუთრებით ძარღვებაშლილ გაღიზიანებულ ბავშებს.

მამა აცილებს ექიმს და დაბრუნებისას ცოლს მკვახედ მიმართავს:

— გინდა ბავში დაიღუპოს? ეგოისტი ხარ!

დედა ჩუმად ტირის.

ავადმყოფობის შემდეგ, როცა გენო ძირს, ბავშებთან, ჩავიდა, მათ უკვე პიონერებს აღარ ეძახოდენ, ფიცის შემდეგ ყველანი „ლენინელები“ გამხდარიყვნენ. სიმღერებსაც ახალს გაიძახოდენ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ლენინელები...

რა ვუყოთ, რომ გენოს ფიცი არ მიუღია, შემდეგ მიიღებს, ვასომ სთქვა. ბავშები მხიარულად მიეკვებენ გენოს, გამოკითხეს ავადმყოფობის მიზეზი.

პატარა სიჩუმის შემდეგ გენომ უპასუხა:

— მშობლებმა პიონერად ჩაწერის ნება მომცეს.

— ვაშა!—ერთხმად შესძახეს ბავშებმა —გაუმარჯოს ახალ ლენინელს! აგერ კოლაც მოვიდა.

— ახალი ლენინელი შეგვემატა! —გაიძახოდენ ყველანი, მერე ცოტა დამშვიდდენ. კოლამ ხელი ასწია. სიმღერა დაიწყო... ერთხმად დასძახეს „ახალი გვარდია“. კოლამ მოიხსნა წითელი ყელსახვევი და გენოს ყელზე გაუკეთა.

— იყავ მედგარი, მუდამ მზად!

— მზად ვარ!—გაისმა გენოს ხმაც მკაფიოდ.

ყველას გაუხარდა გენოს შემოერთება, გენოც კმაყოფილი იყო.

ვასომ ლენინზე ლექსი დასწერა პატარა, ულამაზო, მაგრამ მაინც მოიწონეს, მეორე დღეს გრიშამაც მოიტანა თავისი—მშვენიერი, კარგი და ლამაზი, მაგრამ შურა არწმუნებდა პიონერებს, რომ გრიშა ტყუის, ლექსის დაწერაში დედა დაეხმარებოდაო. ბოლოს გრიშაც გამოტყდა და აღიარა თავისი შეცდომა:

— პიონერი არ უნდა ტყუოდეს. დედას შევეხვეწე და ისიც დამეხმარა.

ყველას მოეწონა გრიშას სინანული და სიმართლის აღიარება.

გენომ ლექსების წერა არ იცის, თუმცა ბევრჯერ ცდილობდა. სამაგიეროდ ხატვა კარგი იცის. აქვს დახატული ეკლესიები ლამაზი, დიდი გუმბათებით, დიდი სახლები, მთა გორაკიანი ადგილები. ვასომ გუშინ უთხრა გენოს:

— გენო, კლუბისათვის სურათები დახატე.

გენომ გადასინჯა თავისი მხატვრობა, მოიწონა ერთი ეკლესია, ლამაზ მწვანე ხეივანში, და ფიქრობს როგორმე გადააკეთოს იგი. უცებ თვალებიც გაუბრწყინდა, ილო საშალი და გუმბათს ჯვარი მოაცილა, მის მაგიერ ხუთქიმიანი ვარსკვლავი დახატა, შუაში კი ნამგალი და ჩაქუჩი. შუა ადგილი წითლად შეღება, ნაპირები კი ოქროსფრად. კარს ზემოთ წააწერა:

„პიონერების კლუბი“.

დედამ კარი შემოაღო. გენოს ჟრუანტელმა დაუარა, შიშის ზარმა დაჰკრა, წამსვე სურათი გადააბრუნა... დედა ისევ გაბრუნდა. გენომ თავისუფლად ამოისუნთქა: „ნეტავ, რომ შეენიშნა, რა პასუხი უნდა გამეცა დედისათვის?“ თანაც გული უკვდებოდა, რომ დედას ყოველივე ეს დაუმალა. სამაგიეროდ მას გაახსენდა, თუ როგორ გაიხარებდენ ამხანაგები ამ სურათზე.

დაღლილი ბრუნდება გენო კლუბიდან. რაწამს დაწვება, მაშინვე იძინებს მშვიდი და ღრმა ძილით, ავადმყოფობამაც გაუარა. დედა წინანდებურად აღარ ეპყრობა, ცოტას ლაპარაკობს მასთან, ყურადღებას აქცევს მხოლოდ, რომ სუფთად ჩაიცვას და დაიხუროს.

საღამოზე მამა მუშაობს, გენოს უკვე სძინავს.

— მეოთხე დღეა, რაც თვალყურს ვადევნებ,—ამბობს დედა,—მოვა, როგორც დამშეული მგელი, ეცემა საჭმელს და მერე მაშინვე იძინებს. არც პირჯვარი, არც ლოცვა...

მამა დაქანცული თვალებით მიხედავს:

— მერე რა?

— როგორ თუ რა? გინდა შენი შვილი ურჯულო გამოვიდეს?

— ეჰ!—ამოიოხრა მამამ და განაგრძო მუშაობა.

დედა გაბრაზებული სდუმს და კერვას განაგრძობს.

გენოს წინაშე უკვე ახალი ცხოვრება გადაიშალა.. სახალისე, სიმხიარულე, ბავშური რაინდობა, სიმღერები, ექსკურსიები ტყეში, სოფლებში, ყაზარმებში.

გენო ბედნიერია, მხიარული და ჯანსაღი. აქ, თავის ტოლებში, გრძნობს იგი სისხლის მოძრაობას. იქ კი, შინ, რაღაც სევდა ბუდობს მის გულში.

— ჩემ დედასაც სწამს ღმერთი,—ეუბნებოდა ვასო, მაგრამ ყურადღებასაც არ ვაქცევ, მოვიხსენი ჯვარი და შორს გადავაგდე. მამაჩემმა გაიცინა, დედა კი ბრაზმორეული მკიცხავდა, მლანძღავდა.

შიშის ზარი იტანს გენოს: მასაც ხომ ჯვარი ჰკიდია. გენომ იცის, რომ პიონერს არ შეშვენის ჯვრის ტარება, რომელიც წვალება-წამების სიმბოლოა. ქრისტე კეთილი ადამიანი იყო, მაგრამ ლენინი ხომ უფრო სამართლიანია, იგი ძლიერი იყო კიდევ მით, რომ რევოლუცია მოახდინა. ლენინი სარწმუნოების, რჯულის წინაამდეგი იყო და მას ებრძოდა.

ჯვარი რაღაც მძიმე ლოდივით ადევს გენოს გულზე, აწუხებს მას, და მოსვენებას აღარ აძლევს.

მესამე რაიონის პიონერები ლენინის საფლავზე აპირებდენ წასვლას. დოლი გრგვინავდა. საყვირები უკრავდა, ბაირაღები ფრიალებდა. სიმხიარულემ მოიცვა ბავშთა გული. კოლა განკარგულებას იძლეოდა, რომ წყნარად, მწყობრად წასულიყვენ. თანაც შენიშნა, რომ საფლავთან მიახლოვებისას ყველას, ნიშნად პატივისცემისა, შუბლზე ხელი მიედო. ესეც ყველამ მოიწონა.

მატე ზალტა.

(გაგრძელება იქნება)

# სამხედრო მუშაობის სახეები პიონერთა ორგანიზაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია სამხედრო მუშაობის დარგში საკმაოდ ჩამორჩენილია. გარდა ტფილისის, ქუთაისისა და კიდევ ორიოდე ორგანიზაციისა, სამხედრო მუშაობას არსად არ აქვს ცოტად თუ ბევრად სისტემატიური ხასიათი. ორგანიზაციების უმრავლესობა იმით კმაყოფილდება, რომ ოდესღაც მოაწყო სამხედრო თამაშობა.

ხსენებულ დარგში მუშაობის სისუსტე აიხსნება არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან სუსტი კავშირით და ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის უქონლობით. ამ წერილის მიზანია — მისცეს პიონერებს საერთო წარმოდგენა სამხედრო მუშაობის ყველა იმ ფორმაზე, რომლებსაც უნდა იყენებდეს პიონერთა კოლექტივი.

**წითელ არმიასთან და ფლოტთან კავშირი.** ვიდრე კოლექტივი გააბამდეს წითელ არმიასთან ცოცხალ კავშირს, საჭიროა ერთი—ორი საუბრის ჩატარება. როდესაც საუბრის პროცესში პიონერებს დაებადებათ კითხვები, მათ წერილობით უნდა ჩამოწერონ ეს კითხვები და გაუგზავნონ წითელი არმიის უახლოეს ნაწილს, რომელიც პიონერებს პასუხს მისწერს და ასე გაიბმება კავშირი კოლექტივსა და წითელი არმიის ნაწილს შორის. შემდეგ პიონერკოლექტივი, უფრო მჭიდრო დაახლოვების მიზნით, ეწვევა წითელარმიელებს ყაზარმაში, გაეცნობა მათი ცხოვრების პირობებს და თვითონაც მოიწვევს წითელარმიელებს კოლექტივში. პიონერები მართავენ წითელარმიელებთან შეკავშირების საღამოს, გააცნობენ სტუმრებს თავისი მუშაობის შედეგებს. მომავალში წითელარმიელები დაეხმარებიან პიონერებს სამხედრო მუშაობის წარმოებაში (სამხედრო ცოდნის შეძენაში, სამხედრო თამაშობათა ხელმძღვანელობაში და სხვა).

**ლაშქრობა.** პიონერთა ლაშქრობას წმინდა სამხედრო ხასიათი კი არ უნდა ქონდეს, მას უფრო ლაშქრობა—თამაშობის ელფერი უნდა ედვას. გარდა თამაშობისა, პიონერმა უნდა მიიღოს სამხედრო ლაშქრობის პრაქტიკის ჩვევები: საჭმლის დამზადება, ზვერვა, კარვების აგება და სხვა. საჭიროა ლაშქრობის მოფიქრებულად მომზადება: მარშრუტი, გასავლელი მანძილი, ამინდი, საჭირო მოწყობილობა, მუშაობის შინაარსი, კვება, სანიტარული დახმარება, ლაშქრობის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა, ასაკობრივი შემადგენლობა და ყოველივე სხვა კარგად გათვალისწინებული უნდა იქნეს.

რადგან ლაშქრობა ღლის პიონერებს, ამიტომ იგი ხანგრძლივი არ უნდა იყოს. დასაშვებია ლაშქრობა მხოლოდ ერთი ღამის გათევით. მანძილი იქით და აქეთ არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს (ისიც უფროს პიონერთათვის). ღამით დაბანაკების დროს საჭიროა მორიგეობა; მორიგეები იცვლებიან ყოველ საათში. ლაშქრობის დროს საჭიროა სამხედრო თამაშის ჩატარება. აქვე გამოყენებულ უნდა იქნეს ტოპოგრაფიასა და სიგნალიზაციაში შეძენილი ცოდნა.

**პირველდახმარების ორგანიზაცია.** სამხედრო მუშაობაში პირველდახმარების ორგანიზაციას თვალსაჩინო ადგილი უკავია. ამ მიზნით კოლექტივი აარსებს პირველდახმარების რაზმს, რომელიც სისტემატიურ მუშაობას ეწევა ექიმის ხელმძღვანელობით. პიონერები ეცნობიან, თუ როგორ უნდა მოიქცენ და რა დახმარება უნდა გაუწიონ დამხრჩვალს, გაზებით მოწამლულს,. რა ზომები უნდა იხმარონ ძვლის გადატეხის დროს, სახსრის ამოვარდნისას და სხ. ლაშქრობის და სამხედრო თამაშობათა მოწყობის დროს სანიტარული რაზმები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ და იწრთვნებოდენ თავის საქმეში.

**კავშირი.** ამ მიზნით იხმარება სიგნალიზაცია ალმებით, სასტვენით, ფანრით (ღამეში) და სხ. სიგნალიზაციისათვის საჭიროა მორზეს ანბანის შესწავლა. კავშირისათვის იხმარება აგრეთვე სამგზავრო ნიშნები. ამ ნიშნებს პიონერები აღნიშნავენ ცარცით, ნახშირით ან ჯოხით გზის პირად რაიმე ნივთებზე (ქვაზე, ღობეზე, ხეზე) ან მიწაზე, მხოლოდ გამოსაჩენ ადგილზე. კავშირისათვის იხმარება აგრეთვე საველე ტელეფონიც.

**ტოპოგრაფია.** თავისთავად ცხადია, რომ პიონერთა ორგანიზაციაში სამხედრო მუშაობა არ ისახავს მიზნად პიონერები აქციოს სპეციალისტ-ტოპოგრაფებად,—მისი მიზანია მიაჩვიოს ისინი გაერკვიონ ადგილმდებარეობაში ყოველნაირი პირობების დროს. პიონერმა უნდა გადაიღოს ტოპოგრაფიული გეგმა კომპასის, სახაზავის და დახაზული ქაღალდის დაუხმარებლივ. როგორც სიგნალიზაციის, ისე ტოპოგრაფიის შესასწავლად პიონერკოლექტივმა სამხედრო საქმის მცოდნე პირებს უნდა მიმართოს.

**სამხედრო თამაშობანი.** სამხედრო თამაშობებს, როგორც სამხედრო მუშაობის ერთ-ერთ—სახეს, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იგი საშვალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ყველა შეძენილი სამხედრო ცოდნა, როგორიცაა სიგნალიზაცია, ტოპოგრაფია, სანიტარული საქმე და სხვა. სამხედრო თამაშობის სირთულე, ხასიათი და ხანგრძლივობა ასაკზეა დამოკიდებული. თამაშობას წინასწარ დამუშავება და ახსნაგანმარტება სჭირდება. ხელმძღვანელებმა და ყველა მონაწილემ თამაშის შინაარსი წინდაწინ უნდა იცოდენ და წარმოდგენილი უნდა ჰქონდესთ თავისი როლი. სამხედრო თამაშობის ჩატარებაში საჭიროა სამხედრო პირების მეცადინეობა.

**სასროლო სპორტი.** სასროლო სპორტს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით უფროსი ასაკის პიონერთათვის. ამ მიზნით კარგია, თუ კოლექტივი მოაწყობს ტირს, სადაც სროლის ყველა წესი სასტიკად იქნება დაცული. სასროლო სპორტის ორგანიზაციის დროს საჭიროა ყოველგვარი სიფრთხილე, რომ თავიდან აცილებულ იქნეს უბედური შემთხვევები. ამიტომაც პიონერთა ლაშქრობისა და სამხედრო თამაშობათა მოწყობის დროს აუცილებლად უნდა იქნეს აკრძალული სასროლო საქმე.

**მ. გორგაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფასი 25 კაპ.**

## საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვება

(გურჯაანი, კახ. ოლქი)

კახეთის საოლქო გლეხკომთან არსებულმა კრუპსკაიას სახელობის ნ/პ. კოლექტივმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვებას: უკვე შევაგროვეთ 560 კლ. და **ვიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში** შემდეგ კოლექტივებს: **ობოლაძის, ვოროშილოვის და შალვა ელიავას სახელობის საგარეჯოს ნ/პ. კოლექტივებს.**

ნ/პ. კოლ. ხელმძღვანელი

**ვ. ალექსიძე**

---

„26“ კომ. სახ. რაიბიუროს პიონერებმა შეაგროვეს და უკვე გადასცეს დამამზადებელ პუნქტს 4000 კილო საექსპორტო უტილნედლეული, 20000 კილო რკინის ნატეხი.

„26“ კომუნარის სახელობის ქარხანასთან არსებულმა პიონერკოლექტივმა № 12 შეაგროვა 3000 კილო ნედლეული და 9000 კილო რკინა.

---

ქალაქის რაიონის პიონერების მიერ შეგროვებულია 75000 კილო ნედლეული და 90000 კილო რკინა.

---

**ვაგროვებთ ნედლეულს,**

(წერილი სიღნაღიდან)

დიდი ხანია, რაც სიღნაღში დაიწყო უტილნედლეულის შეგროვება. 1 და 3 თებერვალს მოეწყო პიონერთა შაბათობა · კომკავშირთან ერთად, დადიოდენ ყუთებით, რომელიც დაკრული იყო ციგებზე და აგროვებდენ რკინასა და სხვადასხვა ძველმანს (ძვალი, ჩვრები, რქები და სხვ.) შეგროვდა რამდენიმე ათასი კილო. ასეთივე შაბათობა ეწყობა 9 თებერვალს. პიონერებმა და კომკავშირელებმა ერთმანეთი გამოიწვიეს თითოეულზე 32 კილოგრამის შეგროვებაში. მუშაობა გრძელდება.

**დათიკო.**

---

## ჩვენც ვავრცელებთ

ქ. ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმთან არსებული ნ.პ. კოლექტივი „საბავშო ოპერა“ ისე, როგორც სხვა ნ. პ. კოლექტივები, შევუდექით ჟურნალ „პიონერის“ გავრცელებისათვის მუშაობას. ჩვენმა კოლექტივმა გამოიწერა 60 ცალი ჟურნალი „პიონერი“ 3 თვით და გამოიწვია ქუთაისის რკინის გზის და ალმასკომის ნ. პ. კოლექტივები.

ჟურნალ „პიონერი“-ს მეტი რაოდენობით გავრცელისთვის თვით კოლექტივის რგოლებმა მოახდინეს გამოწვევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საქმის ინიციატივა აიღეს მესამე და მერვე რგოლებმა და 20 ცალი ჟურნალი „პიონერი“ თვით რგოლის წევრებმა გაავრცელეს.

სამუსიკო ტექნიკუმთან არსებული ნ. პ. კოლექტივის მესამე და მერვე რგოლები ვიწვევთ ჟურნალ „პიონერი“-ს მეტი რაოდენობით გავრცელებაში **ქუთაისის კოოპერაციასთან არსებულ კარლ ლიბკნეხტის სახელობის ნ. პ. კოლექტივის პირველ და მეორე რგოლს.**

**თამარ კუპრაშვილი**

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მთავლიტი № 380 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 72. ტირ. 2000